

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

28.06.2013 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

აუდიტის ანგარიში N 6/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ზ ე ვ ი

აუდიტის ანგარიში	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	5
პირობითი მოსაზრება	22
სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები	22
ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები	22
ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები	34
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	43

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს ხელმძღვანელობას:

მინისტრს

მინისტრის მოადგილეს

მინისტრის მოადგილეს

მინისტრის მოადგილეს

მინისტრის მოადგილეს

გია თავაშაიშვილს

სულიკო თებიძეს

ვლადიმერ მგალობლიშვილს

ვალერი ბერაძეს

ქეთევან მანელიშვილს



აუდიტის ანგარიში

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს გაწეულ საქმიანობას, კონსოლიდირებულ ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს: საკასო ოპერაციები, საბანკო ოპერაციები, ღონისძიებებისათვის გაწეული ხარჯები, თანამშრომელთა მივლინებები, კომუნალური ხარჯები, შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯები, ძირითადი საშუალებების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით აუდიტორს მოეთხოვება ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

1. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბუღალტრულ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას სამუშაოების ფაქტობრივად დასრულების დროის დაუფიქსირებლობა და სათანადო მტკიცებულების არარსებობის პირობებში მიმწოდებელზე 13076,58 ლარის პირგასამტეხლოს დაურიცხაობა, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ და არაეკონომიურ ხარჯვაზე მიუთითებს;

✓ სამინისტროსა და „ზუგომშენს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების¹ საფუძველზე შესრულებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქაქუთის საჯარო სკოლის შენობის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების პირობების მიხედვით სამუშაოს მიღება ფორმდება (როგორც სრული ასევე ნაწილობრივი) შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით², ხოლო საბოლოო მიღება საექსპერტო დასკვნის³

¹ N102, 10.04.2012 წელი, სახელშეკრულებო ღირებულება 319000 ლარი.

² ხელშეკრულება N102, მუხლი N5,3

³ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“



წარმოდგენის შემდეგ განხორციელდება. სამუშაოს დასრულების ვადად მითითებულია 2012 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდი⁴, ხოლო ვადაგადაცილების შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გათვალისწინებულია პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,07%.⁵ პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გაიანგარიშება ექსპერტის მიერ გახარჯული დრო. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დადასტურებულია ექსპერტიზის მიერ და შეადგენს 314279,08 ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელს დარღვეული აქვს ხელშეკრულების პირობები და ბიუჯეტში გადახდილია პირგასამტეხლო 4 242,70 ლარი. აუდიტით დადგინდა, რომ 2012 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით სამინისტროს მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით შესრულებულია 262 008,66 ლარის ღირებულების სამუშაოები (რჩება შესასრულებლად 56 991,34 ლარის ღირებულების სამუშაოები). სამი დღის შემდეგ, მიმწოდებელი 2012 წლის 20 სექტემბრის N38 წერილში მიუთითებს, რომ აწარმოებს სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, დასრულებულია და ითხოვს ობიექტის მიღებას⁶, თუმცა სამინისტროს მიერ შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარებაზე შესაბამისი აქტი არ არის შედგენილი, რაც 20 სექტემბრის მდგომარეობით სამუშაოების შესრულებას დაადასტურებს. სამინისტროს საქმისწარმოების აღრიცხვის ჟურნალების ჩანაწერების მიხედვით 2012 წლის 2 ოქტომბერს გაგზავნილია წერილი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში“ საექსპერტო მომსახურებაზე, რომელსაც 2012 წლის 15 ოქტომბერს წარმოდგენილი აქვს დასკვნა და დადასტურებულია სამუშაოთა შესრულება. იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტროს სამუშაოთა მიმღები კომისიის მიერ არ დასტურდება 2012 წლის 17 სექტემბრის შედგომ პერიოდში სამუშაოების ფაქტობრივად დასრულების დრო, ამდენად საქმისწარმოების კორესპოდენციაში აღნიშნული დროის (2012 წლის 2 ოქტომბერი) გათვალისწინებით სავარაუდოდ პირგასამტეხლოს დარიცხვა ექვემდებარებოდა 32 დღის (01/09-02/10) ხანგრძლივობაზე რაც შეადგენდა $(319000 \cdot 0,07\% \cdot 32)$ 7 145,6 ლარს.⁷

⁴. ხელშეკრულება N102, მუხლი N6,2.

⁵. ხელშეკრულება N102, მუხლი N9,1.

⁶. 2012 წლის 20 სექტემბრის N 38 წერილი არ ადასტურებს ფორმა N2-ის ან სამუშაოს შესრულების აქტის წარმოდგენას, რის გამოც ვერ იქნა მიღებული შესაბამისი რწმუნებას სამუშაოების ფაქტობრივად დასრულებასთან დაკავშირებით.

⁷. 2012 წლის 20 სექტემბრამდე პერიოდის ვადაგადაცილების გათვალისწინებით პირგასამტეხლოს სახით სავარაუდოდ გადასახდელი თანხა ნაცვლად მიმწოდებლის მიერ გადახდილი 4242,7 ლარისა, შეადგენს $(319000 \cdot 0,07\% \cdot 20)$ 4 466 ლარს.

✓სამინისტროსა და შპს „სხალთა 2007“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების⁸ საფუძველზე შესრულებულია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის შენობის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების პირობებით სამუშაოს მიღება ფორმდება (როგორც სრული ასევე ნაწილობრივი) შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით⁹, საბოლოო მიღება განხორციელდება საექსპერტო დასკვნის¹⁰ წარმოდგენის შემდეგ, სამუშაოს დასრულების ვადად მითითებულია 2012 წლის 10 სექტემბრამდე პერიოდი¹¹ ხოლო ვადაგადაცილების შემთხვევაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,07%.¹² წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, მიმწოდებელს დარღვეული აქვს ხელშეკრულების პირობები და გადახილია ბიუჯეტში პირგასამტეხლო 1 078,38 ლარი. სამინისტროს მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით 2012 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით შესრულებულია 260 665,2 ლარის¹³ ღირებულების სამუშაოები. შეუსრულებელი დარჩა 32,43%, 125 042,53 ლარის ღირებულების სამუშაოები. საწყის ეტაპზე ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 385834 ლარს, თუმცა 2012 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით სახელშეკრულებო ღირებულება შეიცვალა და შემცირდა 385135,9 ლარამდე. ამავე ცვლილებით განხორციელდა სამუშაოს შესრულების ვადის ცვლილებაც და გაგრძელდა 2012 წლის 17 სექტემბრამდე, თუმცა აღნიშნული ცვლილების განხორციელების საფუძველი, აუცილებლობა და დადასტურებული მოტივაცია სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. მიმწოდებლის მიერ შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაშიც ვერ იქნა შესრულებული ხელშეკრულების პირობები და არც სამინისტროს შესაბამისი კომისიის მიერ არ იქნა დადასტურებული ფაქტობრივად სამუშაოების დასრულების დრო. გამომდინარე აღნიშნულიდან, დამკვეთსა და მიმწოდებელს შორის დაუსაბუთებლად სამუშაოების შესრულების ვადის შეცვლა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დარიცხვისგან თავის არიდების მაღალი რისკის შემცველია.

⁸. N220, 15,06,2012 წელი, სახელშეკრულებო ღირებულება 385 834 ლარი, პირველად 2012 წლის 16 ივლისს დაზუსტების შემდეგ 385 707 ლარი, 2012 წლის 10 სექტემბერს დაზუსტებით 385 135,29 ლარი.

⁹. ხელშეკრულება N102, მუხლი N5,3

¹⁰ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“

¹¹. ხელშეკრულება N102, მუხლი N6,2.

¹². ხელშეკრულება N102, მუხლი N9,1.

¹³. $63059,46 + 107976,08 + 89629,66 = 260\,665,2$ ლარი.



სამინისტროს საქმისწარმოების აღრიცხვის ჟურნალების ჩანაწერების მიხედვით 2012 წლის 3 ოქტომბერს გაგზავნილია წერილი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ საექსპერტო მომსახურებაზე, რომელსაც 2012 წლის 15 ოქტომბერს წარმოდგენილ აქვს დასკვნა და დადასტურებულია სამუშაოთა შესრულება. იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტროს სამუშაოთა მიმღები კომისიის მიერ არ დასტურდება 2012 წლის 3 სექტემბრის შედგომ პერიოდში სამუშაოების ფაქტობრივად დასრულების დრო¹⁴, ამდენად საქმისწარმოების კორესპოდენციაში აღნიშნული დროის (2012 წლის 3 ოქტომბერი) გათვალისწინებით, სავარაუდოდ ვადაგადაცილებულ დღეთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 22 დღეს,¹⁵ ხოლო პირგასამტეხლოს მაქსიმალური ოდენობა შეადგენს $(385\ 135,29 \times 0,07\% \times 22) = 5930,98$ ლარს.

2. შემსყიდველი პირების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის უსაფუძვლოდ (მათ შორის სამუშაოს დასრულების ვადის გასვლის შემდგომ) გაგრძელება, სატენდერო პირობით გათვალისწინებული სამუშაოების შემცირების ხარჯზე, ვაჭრობის გარეშე 375731 ლარის ღირებულების ახალი სამუშაოების ფასის განსაზღვრა, ფაქტობრივად შეუსრულებელ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება, სახელშეკრულებო ღირებულების წინასწარი გადახდა, სამუშაოების შესრულების ზედამხედველობის განმახორციელებელ პირზე და მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გამოუსწორებლობაზე სათანადო რეაგირების გაუტარებლობა, ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის 24777,91 ლარის პირგასამტეხლოს დაუკისრებლობა პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვაზე, კონკურენციის შემცირებაზე და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვაზე მიუთითებს;

✓ სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტსა და შპს „როიალ არტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების¹⁶ საფუძველზე შესრულებულია ქ.ბათუმში, თამარის დასახლება ტბეთის ქ. N31-ში მდებარე საჩოგბურთო კორტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს და ფაქტობრივად გადახდილია მიმწოდებელზე 554795 ლარი. ხელშეკრულების პირობებით სამუშაოს მიღება ფორმდება (როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი) შესაბამისი მიღება-

¹⁴. ბოლო შესრულება კომისიის განხორციელებული აქვს 2012 წლის 3 სექტემბერს 89 629,66 ლარზე.

¹⁵. 10/09-17/09-7 დღე, 17/09-03/10-15 დღე.

¹⁶. N296, 24/09/2012 წელი, სახელშეკრულებო ღირებულება 554795 ლარი.

ჩაბარების აქტით¹⁷, ხოლო საბოლოო მიღება განხორციელდება საექსპერტო დასკვნის¹⁸ წარმოდგენის შემდეგ. სამუშაოს დასრულების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვე, ანუ 2012 წლის 24 დეკემბრამდე პერიოდი¹⁹. სატენდერო წინადადება და შემდგომში ხელშეკრულება ითვალისწინებდა 7 დასახელების სხვადასხვა სახის სამუშაოების განხორციელებას²⁰. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 6 შემთხვევაში²¹ განხორციელდა სახელშეკრულებო პირობების ცვლილება, მათ შორის შეიცვალა სამუშაოთა სახეობები და მოცულობები, გაგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა²², თუმცა ვადის გაგრძელების აუცილებლობასთან დაკავშირებით შესაბამისი მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი. აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მიმწოდებელთან გაფორმებული შეთანხმებებით, ტენდერით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების შემცირების ხარჯზე²³, შეცვლილია და დამატებულია 141862,43 ლარის ღირებულების ახალი სახის სამუშაოები (საერთო სახელშეკრულებო ღირებულების 25,57%).

იმის გათვალისწინებით, რომ ვაჭრობაში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, სატენდერო პირობით გათვალისწინებული სამუშაოების შემცირება და ვაჭრობის გარეშე 141862,43 ლარის ღირებულების ახალი სამუშაოების ფასის განსაზღვრა, საბაზრო ფასთან მიმართებაში მაღალი რისკის შემცველია. დეპარტამენტის მიმღები კომისიის და სამუშაოების ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის²⁴ შპს „გეომეფი“-ის მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს

¹⁷. ხელშეკრულება N296, მუხლი N4,3

¹⁸ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“

¹⁹ ხელშეკრულება N296, მუხლი N6,2. ვადაგადაცილების შემთხვევაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,07%, მუხლი N9,1.

²⁰ . დახურული და ღია კორტების ტერიტორიის კეთილმოწყობა 181736,55 ლარი, ადმინისტრაციული შენობის, ოფისის და სასტუმროს კეთილმოწყობა 90888,61 ლარი, ელ მომარაგება 44705,98 ლარი, ტრიბუნების მოწყობა 144791,41 ლარი, გათბობა 49919,78 ლარი, კორტის წყალმომარაგება-კანალიზაციის სამუშაოები 19383,30 ლარი და წყალმომარაგება კანალიზაციის სამუშაოები 23369,43 ლარი.

²¹ N1,26/10/2012წ-შეიცვალა 134555,96 ლარის ღირებულების სამუშაოები, N2 17/12/2012 წელი შეიცვალა 141 862,43 ლარის ღირებულების სამუშაოები.

²² . მუხლი 16,1 მოქმედების ვადა იყო 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, შთანხმება N3-28/12/2012 წელი გაგრძელდა 01/02/2013წ-მდე, N4-31/01/2013წ-გაგრძელდა 01/03/2013წ , N5-17/02/2013წ-გაგრძელდა 01/04/2013 წელი.

²³ . დახურულია და ღია კორტების ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები 104029,29 ლარი-57,24%, ადმინისტრაციული შენობის ოფისის და სასტუმროს კეთილმოწყობა 37833,14 ლარი-41,63%, სულ 141862,43 ლარი, საერთო სახელშეკრულებო ღირებულების 25,57%.

²⁴ . შპს „გეომეფი“, ხელშეკრულება N253,03/08/2012წელი, სახელშეკრულებო ღირებულება 12300 ლარი.



შესრულების ვადაში (24/12/2012წ), 532401,91 ლარის²⁵ ღირებულების სამუშაოების ფაქტობრივი შესრულება (რჩება შეუსრულებელი 4,03%, -22393,09 ლარის ღირებულების სამუშაოები). ხოლო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო“-ს დასკვნით²⁶ ირკვევა, რომ ფაქტობრივად შესრულებულია 26237,95 ლარით ნაკლები, 506163,96 ლარის ღირებულების სამუშაოები, რიგი სამუშაოები არ შეესაბამება სახელშეკრულებო პირობებს და საჭიროებს დამატებითი სამუშაოების შესრულებას. ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ, 2013 წლის 21 მარტს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებულია შეთანხმება (N6) და სატენდერო პირობით გათვალისწინებული სახელშეკრულებო ღირებულება, შეუსრულებელი სამუშაოების ხარჯზე შემცირებულია 53068,12 ლარით²⁷, 501726,88 ლარამდე, რაც მიმღები კომისიის მიერ 2013 წლის 25 მარტს დადასტურებულია საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით. მიმწოდებლის ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის ექვემდებარებოდა პირგასამტეხლოს დაკისრებას სავარაუდოდ²⁸ - 3231,8 ლარი, რაც შემსყიდველის მიერ არ არის განხორციელებული.

✓ სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტსა და შპს „ნოვა“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების²⁹ საფუძველზე შესრულებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მეგობრობის ქ.N11-ში მდებარე საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 960 000 ლარს. ხელშეკრულების პირობებით სამუშაოს მიღება ფორმდება (როგორც სრული ასევე ნაწილობრივი) შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით³⁰, ხოლო საბოლოო მიღება განხორციელდება საექსპერტო დასკვნის³¹ წარმოდგენის შემდეგ. სამუშაოს დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვე, ანუ 2012 წლის 31

²⁵. 29/10/2012წ-106811,82 ლარი, 13/11/2012წ-171217,16 ლარი, 18/12/2012წ-254372,93 ლარი სულ 532401,91 ლარი.

²⁶. დასკვნა N000482113, 14/02/2013 წელი.

²⁷. სახაზინო სამსახურის 2013 წლის 25 მარტის დადასტურების და საგადახდო დავალების შესაბამისად ზედმეტად გადახდილი თანხა 53068,12 ლარი დაბრუნებულია ბიუჯეტში.

²⁸. ხელშეკრულებით სამუშაოების უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 24 დეკემბრამდე პერიოდში, ხოლო 2013 წლის 21 მარტამდე 53068,12 ლარის ღირებულების სამუშაოები არ შესრულდა და არც ხარვეზი იქნა გამოსწორებული, ამდენად $53068 \cdot 0,07\% \cdot 87$ დღე=3231,8 ლარს.

²⁹. N248, 31/07/2012 წელი.

³⁰. ხელშეკრულება N248, მუხლი N4,3

³¹ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“

ოქტომბრამდე პერიოდი³². ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 4 შემთხვევაში³³ განხორციელდა სახელშეკრულებო პირობების ცვლილება, შეიცვალა შესასრულებელი სამუშაოები, სამუშაოს შესრულების და ხელშეკრულების მოქმედების ვადები, თუმცა ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტები საფუძველს მოკლებულია.³⁴

დეპარტამენტის მიმღები კომისიის და სამუშაოების ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის³⁵ შპს „გეომეფი“-ის მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია, რომ 2012 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდში შესრულებულია 460358,08 ლარის ღირებულების სამუშაოები, (მთლიანი ღირებულების 47,95%), 2012 წლის 14 ნოემბრამდე შესრულებულია 846655,62 ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო“-ს დასკვნით³⁶ და დეპარტამენტის შესაბამისი კომისიის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია 934806,19 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებლის მიერ სრულყოფილად არ იყო შესრულებული ხელშეკრულების პირობები და 2012 წლის 14 ნოემბრამდე შესრულებული იყო მხოლოდ 846655,62 ლარის ღირებულების სამუშაოები, დეპარტამენტის მიერ გადახდილია მიმწოდებელზე წინასწარი გადახდით (სათანადო გარანტიის საფუძველზე) 942655,62 ლარი- 7849. 43 ლარით მეტი³⁷.

აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მიმწოდებელთან გაფორმებული შეთანხმებებით ტენდერით გათვალისწინებული

32. ხელშეკრულება N248, მუხლი N6.2. ვადაგადაცილების შემთხვევაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,07%, მუხლი N9.1

33. შეთანხმება N1,26/10/2012წ-შეიცვალა 6,2 პუნქტი და სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 20 ნოემბრამდე. N2, 29/10/2012წ-შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ცვლილება, N3,28/12/2012წ-შეიცვალა 16,1 მუხლი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 1 თებერვლამდე, N4, 31/01/2013წ-შეიცვალა 16,1 მუხლი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 1 მარტამდე პერიოდი.

34. შპს „ნოვა“-ს 20102 წლის N521 წერილი-მოტივი „ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა თანხების დროულად ჩარიცხვა კომპანიის ანგარიშზე“. 2012 წლის 17 ოქტომბრის N519 წერილი-მოტივი-„მეტეოროლოგიური პირობების გამო ვერ ხერხდება სამუშაოების დასრულება“ და ქობულეთის მეტეოროლოგიური სადგურიდან წარმოდგენილია ცნობა, რომ 2012 წლის 1 აგვისტოდან 16 ოქტომბრამდე პერიოდში აღინიშნებოდა ნალექი.

35. შპს „გეომეფი“, ხელშეკრულება N253,03/08/2012წელი, სახელშეკრულებო ღირებულება 12300 ლარი.

36. დასკვნა N000246013, 29/01/2013 წელი.

37. 2013 წლის 290მარტს თანხა დაბრუნებულია ბიუჯეტში.



შესასრულებელი სამუშაოების შემცირების ხარჯზე³⁸, შეცვლილია და დამატებულია 186697,34 ლარის ღირებულების ახალი სახის სამუშაოები (საერთო სახელშეკრულებო ღირებულების 19,44%), მათ შორის მოედნის სარბენი ბილიკის მოწყობის სამუშაოებზე საწყის სატენდერო პირობით გათვალისწინებული იყო 96966,84 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება, ცვლილების შემდეგ კი გაზრდილია 145859,26 ლარით (150%) 242826,1 ლარამდე.

იმის გათვალისწინებით, რომ ვაჭრობაში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, სატენდერო პირობით გათვალისწინებული სამუშაოების შემცირების ხარჯზე, ვაჭრობის გარეშე 186697,34 ლარის ღირებულების ახალი სამუშაოების საბაზრო ფასის განსაზღვრის რეალობა ვერ იქნა შესწავლილი, ხოლო ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის სავარაუდოდ³⁹ ექვემდებარება 5698,8 ლარის პირგასამტეხლოს დაკისრებას, რაც შემსყიდველის მიერ არ არის განხორციელებული.

✓ სსიპ -აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და შპს „ხინო“-ს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება⁴⁰ ქ. ბათუმში, მაზნიაშვილის ქ N32/ფარნავაზ მეფის ქN35 მდებარე შენობაში მუზეუმის მოწყობის სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, ხოლო სამუშაოების შესრულების ვადა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვე, 120 დღე, მათ შორის გათვალისწინებულია რიგი სამუშაოების ყოველთვიურად შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სანქციის გავრცელება⁴¹. იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა 58 დასახელების 72581,42 ლარის ღირებულების

³⁸. ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის მონტაჟი-8038,08 ლარი, მეორე სართულის მონტაჟი-5533,48 ლარი, მესამე სართულის მონტაჟი-2877,43 ლარი, სახურავი-6395,98 ლარი, მოედნის სარბენი ბილიკის მოწყობა-163852,37 ლარი.

³⁹. ხელშეკრულებით სამუშაოების უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდში. 2012 წლის 31 ოქტომბრამდე შესრულებულია 460358,09 ლარის ღირებულების სამუშაო, შეუსრულებელი დარჩა (960000-460358,09)=499641,91 ლარის. 1 დღზე პირგასამტეხლო შეადგენს 499641,91*0,07%=349,7 ლარს. ვადაგადაცილება 2012 წლის 1 ნოემბრიდან 14 ნოემბრამდე 14დღე*349,74=4896,49 ლარი. შპს ნოვას 2012 წლის 13 დეკემბრის N530 წერილით სამუშაოები დასრულებულია, ანუ 2012 წლის 14 ნოემბრიდან 13 დეკემბრამდე ვადაგადაცილებულია (16+12) 28 დღე, ხოლო შეუსრულებელია (960000-460358,09-386297,54) 113344,37 ლარის სამუშაოები. 113344,37*0,07%=79,34*28დღე=2221,54 ლარი, სულ (4896,49+2221,54)=7118,03 ლარი. დარიცხულია დეპარტამენტის მიერ და გადახდილია 1419,23 ლარი. 7118,03-1419,23=5698,8 ლარი.

⁴⁰. ხელშეკრულება N49, 07/05/2012 წელი, სახელშეკრულებო ღირებულება 754328 ლარი.

⁴¹. ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9,1 პუნქტი- ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,5%.

სამუშაოები და ფაქტობრივად შესრულებული აქვს 7 დასახელების 11438,10 ლარის ღირებულების სამუშაოები⁴², ნაცვლად სათანადო რეაგირებისა, შემსყიდველთან გაფორმებულია⁴³ შეთანხმება და შეცვლილია სამუშაოს შესრულების ვადები, ანალოგიურად 2012 წლის 1 აგვისტომდე პერიოდში უნდა შესრულებულიყო 74 დასახელების სამუშაოები, ფაქტობრივად კი 1 აგვისტოს გაფორმებულია შეთანხმება და შესასრულებელი სამუშაოთა რაოდენობა შემცირებულია 70 ერთეულამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმწოდებელთან გაფორმებული შეთანხმებებით, ტენდერით გათვალისწინებული შეუსრულებელი 67411,08 ლარის ღირებულების (საერთო სახელშეკრულებო ღირებულების 12,4%). სამუშაოების ხარჯზე⁴⁴, შეცვლილია და დამატებულია 47171,67 ლარის ღირებულების ახალი სახის სამუშაოები (საერთო სახელშეკრულებო ღირებულების 8,7%).

მაშინ, როდესაც სატენდერო პირობებით და ხელშეკრულებით სამუშაოები უნდა დასრულებულიყო არაუმეტეს 2012 წლის 6 სექტემბრამდე, ხოლო ამ პერიოდში მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი⁴⁵ იყო 267597,8 ლარის ღირებულების (36,5%) სამუშაოები, შესრულების ვადების გასვლის შემდგომ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმდა შეთანხმება და სამუშაოს შესრულების ვადები გადატანილია ჯერ 2012 წლის 18 სექტემბრამდე⁴⁶, ხოლო 2012 წლის 25 სექტემბერს შეუსრულებელი სამუშაოების ხარჯზე შეიცვალა სახელშეკრულებო ღირებულება და იგი განისაზღვრა 704900,51 ლარით.

სააგენტოს მიერ სატენდერო პირობით გათვალისწინებული სამუშაოების 67411,08 ლარით შემცირება და ვაჭრობის გარეშე 47171,67 ლარის ღირებულების ახალი სამუშაოების ფასის განსაზღვრა, საბაზრო ფასთან მიმართებაში მაღალი რისკის შემცველია. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის მიმწოდებელი ექვემდებარებოდა 15847,31 ლარის⁴⁷ პირგასამტეხლოს⁴⁸ დაკისრებას, რაც შემსყიდველის მიერ არ არის განხორციელებული.

⁴². მიღება-ჩაბარების აქტი N01,01/06/2012 წელი.

⁴³. შეთანხმება N01, 06/06/2012 წელი, N03,01/08/2012წელი.

⁴⁴. შენობის გამაგრებითი სამუშაოები -5763,17 ლარი, კედლები და ტიხრები -1239,95 ლარი, საძირწი ელემენტების აღდგენა-რესტავრაცია -31182,74 ლარი, გათბობა -2743,46 ლარი, კონდინცირება-ვენტილაცია-3087,35 ლარი, სხვადასხვა სამუშაოები და სუსტი დენი-3155 ლარი.

⁴⁵. შესრულებულია 466134,81 ლარის სამუშაოები, მათ შორის; მაისი-11438 ლარი, ივნისი-13166,9 ლარი, ივლისი-191757,9 ლარი, აგვისტო-145524,1 ლარი და 6 სექტემბრამდე 104247,91 ლარი.

⁴⁶. შეთანხმება N02. 27/07/2012 წელი სახელშეკრულებო ღირებულება შეცირდა 20595,69 ლარით და შეადგინა 733732,31 ლარი. N04, 07/09/2012 წელი, სამუშაოს შესრულების ვადა გადავადდა 12 დღით, 2012 წლის 18 სექტემბრამდე. N 05,025/09/2012წელი, ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა 28831,8 ლარით და შეადგინა 704900,51 ლარი.

⁴⁷. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში, 2012 წლის 6 სექტემბრამდე შესრულებულია 466134,81 ლარის სამუშაოები, შეუსრულებელია (733732,31-466134,81) 267597,9 ლარის სამუშაოები. 2012 წლის 18 სექტემბერს შესრულებულია 192297,03 ლარის, 2012 წლის 21 სექტემბერს 46468,57



3. მუზეუმების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში სკულპტურების, ცვილის ფიგურებისა და ქანდაკებების დამზადება - მონტაჟისათვის ბიუჯეტიდან გადახდილი 744509,63 ლარის შესაბამისობა საბაზრო ფასთან მიმართებაში მაღალი რიკის შემცველია, ხოლო სააგენტოს მიერ 94934,55 ლარის ღირებულების 3 ერთეული ქანდაკების უსასყიდლოდ გადაცემა რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების არარაციონალურ და არამიზანშედეგოვრივ ხარჯვაზე მიუთითებს.

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით⁴⁹ „სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“-ს, მუზეუმების მშენებლობა-რეაბილიტაციის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, მიეცა უფლება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების ჩატარებისათვის, შესყიდვების გამარტივებული საშუალებით განხორციელებაზე. განკარგულების შესაბამისად სააგენტოსა და შპს „MAN PROJECT ARCHITECTURE“-ს შორის 2012 წელს გაფორმებულია ხელშეკრულებები⁵⁰ ბათუმის მუზეუმისათვის 11 ერთეული ცვილის სკულპტურის და 16 ერთეული სკულპტურისთვის დეკორაციული სცენის დამზადებაზე. მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულება და მომსახურების გაწევა დადასტურებულია სააგენტოს მიმღები კომისიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტით და გადახდილია მიმწოდებელზე დეკორაციების დამზადებისათვის 219362 ლარი (საშუალოდ ერთი დეკორაციის ფასი 13710 ლარი) და სკულპტურების დამზადებისათვის 290400 ლარი (საშუალოდ ერთი სკულპტურის ფასი 26400 ლარი) სულ 509762 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სკულპტურებისა და დეკორაციების საბაზრო ფასის განსაზღვრის მიზნით არ განხორციელებულა ბაზრის კვლევა, 11 ერთეული სკულპტურის

ლარის, ხოლო 2012 წლის 25 სექტემბერს 28831,9 ლარის ღირებულების სამუშაოებით შემცირდა სახელშეკრულებო ღირებულება.

⁴⁸. 2012 წლის 18 სექტემბერს შესრულებულ სამუშაოებზე $192297,03 \times 0,5\% \times 11 \text{ დღე} = 10576,34$ ლარი. 2012 წლის 21 სექტემბერს შესრულებული $46468,57 \times 0,5\% \times 14 \text{ დღე} = 3252,8$ ლარი და $733732,31 - 704900,41 = 28831,9 \times 0,5\% \times 14 \text{ დღე} = 2018,17$ ლარი.

⁴⁹. N67, 01/05/2012წელი და N93.05/06/2012წელი.

⁵⁰. - N51, 10/08/2012წ-ცვილის მასალისაგან 6 სკულპტურის დამზადება -(ასლან აბაშიძე, რუსი გენერალი იური ნეტკაჩოვი, თანამედროვე მშენებელი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ზეზვა და მზია) 158 400ლარი.

-N65, 05/06/2012წელი-ცვილის მასალისაგან 5 სკულპტურის დამზადება (მევლუდ დიასამიძე, ლაზაროს ბინიათოლი, ალფრედ ნობელი, ლაო ჯინჯაო, მეჩაიე ქალი)-132000 ლარი.

-N66, 05/06/2012 წელი 16 ცალი ცვილის სკულპტურის გასაფორმებლად დეკორაციული სცენებისა და სამხატვრო სამუშაოების შესყიდვა-220660 ლარი.

დამზადებასთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი ქანდაკების პარამეტრები, ხარისხობრივი და თვისობრივი მახასიათებლები. ხოლო დეკორაციებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მხოლოდ მიმწოდებლის მიერ შედგენილი პროექტი, თუმცა საწყის ეტაპზე არაა წარმოდგენილი შესასრულებელი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა, პროექტი, სხვა პარამეტრები და მახასიათებლები.

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების⁵¹ საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სსიპ -აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და შპს „ბათუმი არტ“-ს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება⁵² ქ. ბათუმში მოქანდაკეთა II საერთაშორისო პლენერების ჩატარების ორგანიზებისათვის, კერძოდ მარმარილოს ქვიდან 9 ქანდაკების გამოქანდაკება. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 234747,63 ლარს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2012 წლის 30 აგვისტომდე პერიოდი, ცალკეული სამუშაოები და მომსახურება უნდა განხორციელდეს გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 2012 წლის 3 მაისიდან 30 აგვისტომდე პერიოდში⁵³. ხელშეკრულების შემადგენელი წინასწარი ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა 15 დასახელების სამუშაოს შესრულებას და მომსახურების გაწევას⁵⁴. აუდიტის მიმდინარეობისას სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაქმნელი ქანდაკებების პარამეტრები, დანიშნულება, საწყის ეტაპზე ერთეული ქანდაკების შექმნის სავარაუდო საბაზრო ღირებულება, აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებაზე მიმწოდებლის გამოცდილება და შესაძლებლობა. იმ პირობებში, როდესაც ქანდაკებების შექმნა უნდა განხორციელებულიყო სააგენტოს კუთვნილი მასალით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 დღეში (10/05/2012წ) გადახდილია ავანსად სახელშეკრულებო ღირებულების 80%- 200 000 ლარი.

⁵¹. N49. 10/04/2012 წელი, სსიპ-აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ.

⁵². ხელშეკრულება N45, 02/05/2012 წელი, საწყისი სახელშეკრულებო ღირებულება 250 000 ლარი, ხოლო 2012 წლის 20 აგვისტოს შეთანხმებით შემცირდა 234 747,63 ლარამდე.

⁵³. ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8,1 პუნქტი- ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%.

⁵⁴. მოქანდაკეთა შერჩევა, ორგანიზატორთა მივლინება, ტერიტორიის მოწესრიგება-მომზადება, მოქანდაკეებისათვის ხის ტუმბოებისა და ძეგლების დამზადება, პლენერის სიმბოლიკების, ბანერების, მონაწილე ქვეყნების დროშების დამზადება, სტუმართა კვების ხარჯები, ტექნიკის დაქირავება, მუშახელის დაქირავება, მოქანდაკეთა ჰონორარი, საორგანიზაციო ჯგუფის ხელფასი, საგამომცემლო სამუშაოები, 1000 ცალი კატალოგის ბეჭდვა.



2012 წლის 25 ივნისს გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი და დადასტურებულია 214 805,63 ლარის მომსახურების შესრულება⁵⁵, ხოლო 2012 წლის 15 აგვისტოს 19942 ლარის ღირებულების 1000 ცალი ალბომის მოწოდება. სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“ მიერ აღნიშნული ღონისძიებისათვის გაწეული ხარჯები⁵⁶ პროპორციულად გადანაწილებულია 9 ქანდაკებაზე და ერთი ერთეული ქანდაკების ღირებულება⁵⁷ განისაზღვრა და შემოსავალში აღებულია 31644,85 ლარით. საიდანაც უსასყიდლოდ, არსებობის ვადით სარგებლობის უფლებით, 2012 წლის 18 აგვისტოს⁵⁸ 94 934,55 ლარის ღირებულების სამი ქანდაკება⁵⁹ გადაცემულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე, ხოლო 2012 წლის 26 ოქტომბერს 126 579,4 ლარის ღირებულების 4 ქანდაკება⁶⁰ გადაცემულია სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტზე“.

- იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების შედგენის ეტაპზე არ იყო გამიჯნული შესაქმნელი ქანდაკებების პარამეტრები, დანიშნულება, საწყის ეტაპზე ერთეული ქანდაკების საბაზრო ღირებულება, მიმწოდებელი რეგისტრირებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე 12 დღით ადრე 2012 წლის 19 აპრილს და ვერ ექნებოდა სათანადო გამოცდილება აღნიშნული ღონისძიების ჩატარების ორგანიზებისათვის, მასალების ფაქტობრივად არსებობის მიუხედავად მიმწოდებელზე ავანსად გადახდილია 200000 ლარი, სააგენტოს ბრძანებით⁶¹ ხელშეკრულების გაფორმებამდე და მიმწოდებლის რეგისტრაციამდე 2012 წლის 15 თებერვალს მიმწოდებლის დირექტორის სტუმრობისათვის გაწეულია წარმომადგენლობითი ხარჯები (241,5 ლარი) სააგენტოს მიერ ავანსად გადახდილი თანხის მიზნობრივად ხარჯვა, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობა და ღონისძიების ორგანიზების (234747,6 ლარი) ფაქტიური საბაზრო ღირებულება მაღალი რისკის შემცველია.

4. სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების უზრუნველსაყოფად, ბიუჯეტიდან გადახდილი თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით, მიმწოდებლების მიერ გარე

⁵⁵. 19942 ლარი შეადგენს მოსაწოდებელი 1000 ცალი ალბომების ღირებულებას, რომლის მოწოდების ვადაა 2012 წლის 30 აგვისტომდე პერიოდი, ფაქტობრივად მოწოდებულია 2012 წლის 15 აგვისტოს.

⁵⁶. შეძენილი 1000 ცალი ალბომიდან 2012 წელში გაცემულია მხოლოდ 300 ცალი, 700 ცალი 13959,4 ლარის ღირებულების ალბომი გაუცემელია და ირიცხება ნაშთად.

⁵⁷. ერთი ერთეული ქვის ღირებულება 7777 ლარი*9=69993 ლარი+214805,63=284798,63/9=31644 ლარი.

⁵⁸. სააგენტოს 2012 წლის 16 აგვისტოს N01-03/64 ბრძანება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 16 აგვისტოს N01-10/4135 წერილი.

⁵⁹. გარდატეხა, კოლხეთი და ქარის თვალი 31644,85*3=94934,55 ლარი.

⁶⁰. დროის დინება, თვითდამკვიდრება, ენერგიის სუბსტანცია, სარკმელი.

⁶¹. ბრძანება N01-03/5, 15/02/2012 წელი, შპს „ბათუმი არტი“-ს დირექტორის გიორგი ჯანბერიძის სტუმრობასთან დაკავშირებით წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის თაობაზე-241,5 ლარი.

დადასტურებით 199210,8 ლარის ხარჯვაზე ვერ იქნა წარმოდგენილი თანხის მიზანშედეგობრივად ხარჯვის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები.

✓ ბავშვთა და მოზარდთა ფოლკლორის XI საერთაშორისო ფესტივალის „ოქროს დელფინის“ უზრუნველსაყოფად გამოყოფილია ბიუჯეტიდან და ათვისებულია 57 133 ლარი. საქართველოს მუსიკალური საზოგადოების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამგეობას⁶² ფესტივალთან დაკავშირებით წარმოდგენილი აქვს პროგრამა, პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და ინფორმაცია, რომ ფესტივალი ტარდება სამინისტროს, საქართველოს მუსიკალური საზოგადოებისა და ქალაქ ბათუმის მერიის ხელშეწყობით. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სამინისტროსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც მოიცავს სასტუმროში სტუმრების დამისთევას და კვებას, ფესტივალის 700 მონაწილეზე საჩუქრების და მედლების მიწოდებას და სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს. აუდიტის პერიოდში სამინისტროს მიერ 53555,8 ლარის ხარჯვაზე⁶³ ვერ იქნა წარმოდგენილი ხარჯების ფაქტობრივად გაწევის⁶⁴ დამადასტურებელი საბუთები.

აუდიტის მიმდინარეობისას, მეტი რწმუნების მისაღებად, გარე დადასტურებისათვის, სამინისტროს მეშვეობით⁶⁵ ი/მ „ციური თედორაძეს“ და შპს „მარი ჯგუფს“ ეთხოვათ სამინისტროდან მიღებული თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაციის წარმოდგენა. შპს „მარი ჯგუფის“ მიერ შესაბამისი დადასტურება არ იქნა წარმოდგენილი. ი/მ „ციური თედორაძე“ წარმოდგენილი დოკუმენტებით (ხარჯების იდენტიფიცირების გარეშე) წერილობით განმარტავს, რომ 100 კაცზე სამთავრობო ბანკეტის საფასური შეადგენს 3700 ლარს (სამთავრობო ბანკეტს ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა) ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ (4500 ლარი) ხარჯებზე 800 ლარით ნაკლებს, ხოლო დანარჩენ 13300 ლარის ხარჯვაზე ვერ იქნა წარმოდგენილი (წარმოდგენილია მხოლოდ კვების მენიუ) სასაქონლო ზედნადები ან ანგარიში, კვებაზე მყოფ პირთა ოდენობა,

⁶². წერილი N87,18,04,2012წ.

⁶³. ი/მ ციური თედორაძე, N145, 02,05,2012წ-17 700 ლარი, შპს „მარი ჯგუფი“, N143,02,05,2012 წ.-23350 ლარი, შპს „დელტა ჯორჯია“, N149, 02,05,2012წ-4960ლარი, ი/მ გიორგი კალანდია, N141.02,05,2012წ-4220 ლარი, ი/მ მერაბ გოგსაძე, N142,02,05,2012წ-2380ლარი, ი/მ ამირან ვარშანიძე, N148. 02,05,2012წ-600ლარი. შპს „აჭარის სამხატვრო საწარმო“ N154,07,05,2012წ-345,8ლარი.

⁶⁴. სასტუმროში დამისთევისათვის გადახდილი თანხების იდენტიფიცირება, კვებაზე გაწეული ხარჯების, მოწოდებული საჩუქრების და მედლების ფაქტობრივად დამზადება-მოწოდების დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადები/და ანგარიშფაქტურა.

⁶⁵. სამინისტროს 2013 წლის 3 აპრილის N01-16/874 წერილი ი/მ ციური თედორაძეს და 2013 წლის 3 აპრილის N01-16/876 წერილი შპს „მარიჯგუფს“.



იდენტიფიცირება და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულება.

✓ აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ბავშვთა ანსამბლების ოლიმპიადის ღონისძიებისათვის გამოყოფილი 20 000 ლარი, ორგანიზებისათვის გადახდილი ი/მ „რევაზ ბაინაზიშვილზე“ ⁶⁶ . ხელშეკრულების შემადგენელი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია სცენის მოწყობისათვის 1000 ლარი, სპეციალისტების ჰონორარისათვის 3600 ლარი, ორგანიზატორების ტრანსპორტირებისათვის 880 ლარი, სარეკლამო - საორგანიზაციო ხარჯებისათვის (ბანერები, მოსაწვევი, ბუკლეტი, სიგელი) 1 780 ლარი, საჩუქრები 2 000 ლარი, კვების ხარჯები 7 080 ლარი და გამარჯვებული ანსამბლის 450 ბავშვის ვიზიტი დელფინარიუმში 3 660 ლარი. მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულება დადასტურებულია 2012 წლის 30 მაისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით (რომელიც ზუსტად იდენტურია ხარჯთაღრიცხვის). წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება ჰონორარის მიმღებ პირთა იდენტიფიცირება და მათზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯები, როგორც ხარჯთაღრიცხვაში ასევე მიღება-ჩაბარების აქტში არ არის მითითებული შესაძენი და გადასაცემი საჩუქრების დასახელება, რაოდენობა, საჩუქრების მიმღებ პირთა ვინაობა, აგრეთვე იმ პირთა იდენტიფიცირება ვისზეც იქნა გახარჯული კვებისათვის 7080 ლარი და დელფინარიუმში 450 ბავშვის ვიზიტისათვის 3660 ლარი.

აუდიტის მიმდინარეობისას, მეტი რწმუნების მისაღებად, გარე დადასტურებისათვის სამინისტროს მეშვეობით⁶⁷ ეთხოვა ი/მ „რევაზ ბაინაზიშვილს“ სამინისტროდან მიღებული თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაციის წარმოდგენა, მაგრამ ხელშეკრულებაში მითითებულ იურიდიულ მისამართზე აღნიშნული პირის არარსებობის გამო წერილი ვერ იქნა ჩაბარებული. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ღონისძიების ფარგლებში 20 000 ლარის მიზანშედეგობრივად და რაციონალურად ხარჯვა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება.

✓ 2012 წლის 5 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით⁶⁸ 2012 წლის 6 სექტემბერს „ლაზური მუსიკის ფესტივალის“ ორგანიზებისათვის შპს „ბაიარ ტურისტისთვის“ გადახდილია 15000 ლარი. 2012 წლის 6 სექტემბერს მიმწოდებელთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია ვალდებულების შესრულება. ხელშეკრულებაში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა

⁶⁶. ხელშეკრულება N162,08,05,2012 წ, ღირებულება 20 000 ლარი.

⁶⁷. 2013 წლის 3 აპრილის N01-16/875 წერილი.

⁶⁸. შპს „ბაიარტური“, N33-05,09,2012 წელი-15000 ლარი.

ვალდებულება აქვს აღებული მიმწოდებელს და რა სახის მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს, არც მიღება-ჩაბარების აქტშია მითითებული მიმწოდებელმა ფაქტობრივად რა სახის მომსახურება განახორციელა.

გარე დადასტურებით,⁶⁹ შპს „ბაიარ ტურის“ მიერ წარმოდგენილი 15000 ლარის ხარჯვის დამადასტურებელი საბუთებით სათანადო რწმუნება ვერ იქნა მიღებული, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტებიდან 5591,1 ლარის ხარჯა არ განხორციელებულა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში⁷⁰, ხოლო 9408,9 ლარის ხარჯვასთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი თანხის ფაქტობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები⁷¹. შესაბამისად, სამინისტროს მიერ მიმწოდებელთან 15000 ლარის ოდენობის ვალდებულების აღება და ფაქტობრივად ხარჯვის დანიშნულებისამებრ გაწევა საფუძველს არის მოკლებული.

✓ 2012 წლის 3-6 ოქტომბერს ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზის“ ღონისძიებისათვის 2012 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებით⁷² წინასწარი გადახდის პირობით⁷³ ა(ა)იპ „ანიმაციის განვითარების ფონდი“ დაფინანსებულია 40000 ლარით. 2012 წლის 29 ოქტომბერს მიმწოდებელთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია ვალდებულების შესრულება. ხელშეკრულებაში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა ვალდებულება აქვს აღებული მიმწოდებელს და რა სახის მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს, არც მიღება-ჩაბარების აქტშია მითითებული მიმწოდებელმა ფაქტობრივად რა სახის მომსახურება განახორციელა.

გარე დადასტურებით,⁷⁴ ა(ა)იპ „ანიმაციის განვითარების ფონდის“ მიერ წარმოდგენილი 40000 ლარის ხარჯვის დამადასტურებელი საბუთებით სათანადო რწმუნება ვერ იქნა მიღებული რადგან სრულყოფილად არაა წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი საბუთები, წარმოდგენილი დოკუმენტებიდან რიგ შემთხვევებში თანხების ხარჯვა არ განხორციელებულა ხელშეკრულებით

⁶⁹. სამინისტროს 2013 წლის 3 აპრილის N01-16/873 წერილი.

⁷⁰. სარესტორნო და სასტუმროს მომსახურებები 03/09-04/09-(805+794,61+380) 1979,61 ლარი, 10/09-13/09 -(1570,8+1680+360,7) 3611,5 ლარი.

⁷¹. წარმოდგენილია მხოლოდ ხელშეკრულებები, არაა წარმოდგენილი სამუშაოების ფაქტობრივად შესრულებისა და თანხის ფაქტობრივად გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის 2283,35 ლარი ხარჯვაზე წარმოდგენილია თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებზე გაფორმებული ხელშეკრულებები საკონცერტო მომსახურებისათვის, 1000 ლარი სარეკლამო რგოლის დამზადებისათვის, 1250 ლარი საკონცერტო მომსახურებისათვის და სხვა.

⁷² ა(ა).ი.პ „ანიმაციის განვითარების ფონდი“, N316. 24.08.2012წ-40000 ლარი.

⁷³. საბანკო გარანტია სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი“ NBG/PB 4026/09 -04,09,2012წ. 40 000 ლარი.

⁷⁴. სამინისტროს 2013 წლის 3 აპრილის N01-16/877 წერილი.



გათვალისწინებულ პერიოდში ⁷⁵, კერძოდ თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 2012 წლის აპრილ-სექტემბრის თვის სახელფასო დავალიანებების გადახდის საბუთები. აღნიშნულიდან 40000 ლარის ხარჯების დანიშნულებისამებრ გაწევა საფუძველს მოკლებულია.

✓ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ეკონომიკური კონფერენციის მონაწილეთა მიღების ორგანიზების ღონისძიებისათვის გამოყოფილი 70655 ლარი ათვისებულია მთლიანად ⁷⁶. ხელშეკრულების მიხედვით შპს „ERGO GROUP“-ს 30314 ლარით უნდა განეხორციელებინა ტექნიკური სამუშაოების ჩატარება (სცენის მონტაჟი, განათება, გახმოვანება, დეკორაციების მოწყობა), ხოლო შპს „პასიფლორას“ 40341 ლარით კონცერტის ორგანიზება და ჩატარება (ცისფერი ტრიო-10235 ლარი, ანსამბლი ბათუმი -2019 ლარი, გოგონათა დუეტი- 5002 ლარი, ცეცხლოვანი შოუ - 1437 ლარი, პანტონიმა, ქანდაკებები ეროვნულ კოსტუმებში, ქანდაკებები თეთრი კლასიკური, პერფომანსები სულ 20700 ლარი). სამინისტროს მიერ შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტებით დადასტურებულია მიმწოდებლების მიერ სამუშაოს შესრულება, თუმცა აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები ⁷⁷.

აუდიტის მიმდინარეობისას, მეტი რწმუნების მისაღებად, გარე დადასტურებისათვის სამინისტროს მეშვეობით ⁷⁸ ეთხოვა მიმწოდებლებს სამინისტროდან მიღებული თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაციის წარმოდგენა. ხელშეკრულებაში მითითებულ იურიდიულ მისამართზე შპს „ERGO GROUP“-ის არარსებობის გამო წერილი ვერ იქნა ჩაბარებული, ხოლო შპს „პასიფლორას“ მიერ შესაბამისი დადასტურება არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად რწმუნებაც ვერ იქნა მიღებული ⁷⁹.

⁷⁵. საწვავის შეძენა -734 ლარი, სასტუმროს მომსახურება-3610 ლარი გადახდილია 2012 წლის 3,4,8 ოქტომბერს, სადაც ვერ დასტურდება მცხოვრებთა სრული იდენტიფიცირება და ღონისძიების მიზნებისათვის ხარჯების გაწევა, 579 ლარი- 2012 წლის 4 სექტემბერს საბანკო გარანტიისათვის, 1580,36 ლარი-2012 წლის 17/09- 25/09-29/09-30/10-2/11-29/11 შეძენილ საქონელზე, ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში 2012 წლის აპრილ-სექტემბრის თვეების ხელფასის გაცემა 12360,78 ლარი.

⁷⁶. ხელშეკრულება N159,08/05-2012 წ. შპს „ERGO GROUP“ -30314 ლარი, ხელშეკრულება N160, 08/05-2012 წ. შპს „პასიფლორა“-40431 ლარი.

⁷⁷. ცალკეულ შემსრულებლებზე თანხის გადახდები, სცენის გახმოვანება-მონტაჟზე გაწეული ხარჯები, დეკორაციის ხარჯები და სხვა.

⁷⁸. შპს „ERGO GROUP“, 2013 წლის 3 აპრილის N01-16/880 წერილი. შპს „პასიფლორა“, 2013 წლის 3 აპრილის N01-16/872 წერილი.

⁷⁹. საჯარო რეესტრის მონაცემებით აღნიშნულ იურიდიულ მისამართზე საკუთრების უფლება გააჩნია ფიზიკურ პირ დოდო მანჯგალაძეს.

5. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის მიერ ოლიმპიურ თამაშებზე დასწრების მიზნით ბიუჯეტიდან 54065 ლარის ხარჯების გაწევა მაღალი რისკის შემცველია, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ, არამიზანშედეგობრივ ხარჯვაზე და ფიზიკური პირებისათვის გაწეულ ქველმოქმედებაზე მიუთითებს.

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით⁸⁰ 2012 წლის 24 ივლისს დამტკიცდა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე აჭარის დელეგაციის (11 კაცი) დასწრებისათვის გასაწევი ხარჯების ბიუჯეტი 55000 ლარი. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის მიერ⁸¹ კი ბიუჯეტის დამტკიცებამდე 2012 წლის 28 ივნისს, ეთხოვა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ლონდონის საიუბილეო ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრებად 9 კაციანი დელეგაციის⁸² ვიზებთან დაკავშირებით, ბრიტანეთის საელჩოში შუამდგომლობა, ამდენად დეპარტამენტის მოთხოვნა დელეგაციის წევრებისათვის ვიზებთან დაკავშირებით, უსაფუძვლოა და შეუსაბამოა მთავრობის განკარგულების მოთხოვნებთან, რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს. უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჭარის დელეგაციის მონაწილე პირთა იდენტიფიცირების შესახებ, ასევე საქართველოს ოლიმპიური კომიტეტთან შეთანხმება ან სხვა მტკიცებულება დელეგაციის წევრების რაოდენობის, იდენტიფიცირების ან ოლიმპიური თამაშების სპეციფიკიდან გამომდინარე გასამგზავრებელ პირთა აუცილებლობის შესახებ. მიუხედავდ ზემოთ აღნიშნულისა, დეპარტამენტის 2012 წლის 25 ივლისის N01-02/249 ბრძანებით განისაზღვრა სპორტსმენთა მხარდამჭერი 12 კაციანი დელეგაცია, ანუ განკარგულებით გათვალისწინებულზე ერთი ერთეულით მეტი და დელეგაციის მივლინების მიზნით გამოიყო 55 000 ლარი, მათ შორის 3 ფიზიკური პირი არის დეპარტამენტის თანამშრომელი⁸³ 2 ფიზიკური პირი სამინისტროს თანამშრომლები⁸⁴

⁸⁰. N5-17/01/2012 წელი- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების-სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის 2012 წლის ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების გეგმისა და სპორტის სფეროს ღონისძიებათა კალენდარული გეგმის დამტკიცების და N130 განკარგულება 24/07/2012 წელი ცვლილებების შეტანის შესახებ.

⁸¹. დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 28 ივნისის N 01-07/200 წერილი.

⁸². ნოდარ ფუტყარაძე, ლაშა კილაბერია, მუხრან ვახტანგაძე, ბადრი შამილაძე, ელდარ ვარშალომიძე, აბესალომ ბასილია სულიკო ფეიქრიშვილი, ჯონი ცივაძე, ლევან ჯიოშვილი.

⁸³. ნოდარ ფუტყარაძე-დეპარტამენტის უფროსი-3494 ლარი, ლევან ჯიოშვილი-უფროსის მოადგილე-3494 ლარი, ლაშა კილაბერია-განყოფილების უფროსი-3494 ლარი.

⁸⁴. ზურაბ უკლება-მინისტრის მოადგილე-3494 ლარი, რავშან ბეჟანიძე-რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი-3494 ლარი.



და 7 ფიზიკური პირი სპორტული ფედერაციის წევრები⁸⁵. დეპარტამენტის მიერ აღნიშნული ღონისძიებისათვის ფაქტობრივად სულ გაწეულია 54065 ლარის ხარჯი, მათ შორის: 40 415 ლარი გადახდილია 12 ფიზიკურ პირზე წინასწარი გადახდით, ხოლო 13650 ლარი გადახდილია ავიაკომპანიებზე ბილეთების შეძენისთვის. გაცემული თანხა აღიარებულია ხარჯად როგორც მივლინების ხარჯი, თუმცა მივლინებასთან დაკავშირებით სათანადო კანონშესაბამისი რწმუნება ვერ იქნა წარმოდგენილი.

6. სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე პირთა უსაფუძვლო დისკვალიფიკაცია, მიმწოდებლის არაობიექტურად შეფასებაზე, პრეტენდენტთა შეზღუდვაზე და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურ ხარჯვაზე მიუთითებს.

✓ „ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის შენობის მშენებლობის (რეკონსტრუქცია) განსახორციელებლად გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში⁸⁶ მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი. ვაჭრობის საბოლოო შედეგების მიხედვით შპს „WEST GROUP XXI“ საბოლოო ღირებულება შეადგენდა 335 000 ლარს, ხოლო შპს „გარანტი 2007“-ის 335 662 ლარს. ელექტრონული ვაჭრობის შემდეგ, დაფიქსირებული ფასის შესაბამისად, უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს (შპს „WEST GROUP XXI“)⁸⁷ მოეთხოვა ტექნიკური დოკუმენტების და დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა, ხოლო 2012 წლის 17 მაისის⁸⁸ სატენდერო დოკუმენტაციის შეუსაბამობის მოტივით შპს „WEST GROUP XXI“-ს მიეცა დისკვალიფიკაცია. კერძოდ, სატენდერო კომისიამ გამოავლინა, რომ

- პრეტენდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა N1 (სამშენებლო სამუშაოები) პუნქტი 44-ში - მითითებული ღირებულების რაოდენობა 18.44 კუბ.მ არ შეესაბამებოდა სატენდერო პირობებს, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციაში და მეორე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია 461,00 კუბ.მ, თუმცა შემდგომში 2012 წლის 21 სექტემბერს სამინისტროსთან შეთანხმებით ტენდერში გამარჯვებულად აღიარებულმა შპს

⁸⁵ .თემურ მიქელაძე-ძალოსნობის ფედერაცია-3056 ლარი, აბესალომ ბასილია-ძალოსნობის ფედერაცია-3056 ლარი, რაულ თავართქილაძე-ჭიდაობის ფედერაცია-3632 ლარი, ჯემალ კილაძე-ჭიდაობის ფედერაცია-215 ლარი, ზაზა ჯიბლაძე-ჭიდაობის ფედერაცია-3529 ლარი, ელდარ ვარშალომიძე-ძიუდოს ფედერაცია-4457 ლარი და ჯონი ცივაძე ველოსპორტის ფედერაცია-5000 ლარი.

⁸⁶ . SPA 120011691, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 359 487 ლარი.

⁸⁷ . ოქმი N16/2, 2012 წლის 14 მაისი.

⁸⁸ . ოქმი N16/3, 2012 წლის 17 მაისი.

„გარანტი 2007“-მა ღორღის მოცულობა დააზუსტა და შესრულებაშიც ნაჩვენებია დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მონაცემები 18.44 კუბ.მ

- ოქმის მიხედვით, 6 შემთხვევაში (ხარჯთაღრიცხვა N1 პუნქტი N40, ხარჯთაღრიცხვა N2 პუნქტი N8, ხარჯთაღრიცხვა N3 პუნქტი N1, ხარჯთაღრიცხვა N4 პუნქტი N6, ხარჯთაღრიცხვა N6 პუნქტი N6 და N15) შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოცულობებს და მითითებულია ნულები. ფაქტობრივად აუდიტით დადგინდა, რომ სატენდერო კომისიის ოქმში (N16/3) ნაჩვენები მონაცემები არ შეესაბამება რეალობას, რადგან შპს „WEST GROUP XXI“-ს მიერ წარმოდგენილ დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში, ექვსივე შემთხვევაში ფიქსირდება სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ოდენობები. ამდენად, სატენდერო კომისიის მიერ შპს „WEST GROUP XXI“-ს უსაფუძვლოდ იქნა დისკვალიფიცირებული.

პირობითი მოსაზრება

აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ და „სხვა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობა და 2012 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები

შიდა კონტროლის სისუსტეები:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტით დადგინდა სამინისტროს შიდა კონტროლის სისუსტეები, რაც გამოიხატება შემდეგი ნაკლოვანებების სახით:



1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სახსრების აუთვისებლობა მის არასწორ და დაუსაბუთებელ დაგეგმვაზე მიუთითებს, ხოლო პროგრამის დაგეგმვა და ბიუჯეტი კოორდინატორთა ხარჯების გაწევაზეა ორიენტირებული და საბიუჯეტო სახსრების არამიზანშედეგობრივ ხარჯვაზე მიუთითებს.

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით ⁸⁹ დამტკიცებულია სამინისტროს „უცხოეთში სტაჟირების მიზნობრივი პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტი საწყის ეტაპზე განისაზღვრა 40 000 ლარით, ხოლო შედგომ 2012 წლის 31 დეკემბერს შემცირდა და 27 000 ლარი შეადგინა. პროგრამის მიზანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრები 18-30 წლამდე ასაკის საქართველოს 15 მოქალაქის, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულის გაგზავნა უცხოეთში, პროფესიული სტაჟირებისათვის, ხოლო უცხოეთიდან მოწვეული იქნება 2 სტაჟიორი. პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევისას უპირატესობა ენიჭებათ ტურიზმის, საფინანსო-ეკონომიკური სფეროს მენეჯერებს, აგროსამრეწველო, განათლების, ადმინისტრაციული და მომსახურების სფეროების სპეციალისტებს. 2012 წელს პროგრამის ფარგლებში ათვისებულია 25 760,13 ლარი (პროგრამის შემცირებამდე 64,40%, შემცირების შემდგომ 95,40%) მათ შორის: უცხოეთიდან მოწვეულ 2 სტაჟიორზე გადახდილია კომპენსაცია 5 700 ლარი (მთლიანი ბიუჯეტის 21,1%); საქართველოს 14 სტაჟიორზე გადახდილია კომპენსაცია 9 800 ლარი (მთლიანი ბიუჯეტის 36,29%); პროგრამის ხელმძღვანელზე მივლინების ხარჯებისათვის გადახდილია 2817,63 ლარი, ხოლო შრომის ანაზღაურებისათვის გადახდილია 7442,5 ლარი (მთლიანი ბიუჯეტის 38, %).

სამინისტროს საქმისწარმოების აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით 2012 წელში 23 საქართველოს მოქალაქეს შეტანილი აქვს განაცხადი პროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებით. აუდიტის პერიოდში სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი პროგრამით სარგებლობის მსურველთა შერჩევის, შეფასების, უარის თქმისა და დაკმაყოფილების განმსაზღვრელი მტკიცებულებები. წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება პრეტენდენტ სტაჟიორთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (რაც შერჩევის ერთერთი ძირითადი კრიტერიუმია), შეტანილი 23 განაცხადიდან 2012 წელში მხოლოდ 3 მოქალაქე სარგებლობს პროგრამით და გაცემულია კომპენსაცია 2100 ლარი (პროგრამით განსაზღვრული

⁸⁹ N6,17,01,2012 წელი, N229 31,12,2012 წელი.

ბიუჯეტის 10 500 ლარის 20%), დანარჩენი 11 სტაჟიორის მოთხოვნა და განცხადება 2012 წელში არ არის რეგისტრირებული. მიუხედავად მსურველთა რაოდენობისა, პროგრამით გათვალისწინებული 15 სტაჟიორიდან ერთი სტაჟიორის შეჩევა და დაფინანსება არ არის განხორციელებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსებულ 14 სტაჟიორიდან ერთი სტაჟიორის⁹⁰ სპეციალობა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით არ შეესაბამებოდა პროგრამით გათვალისწინებული შერჩევის უპირატესობის კრიტერიუმს.

✓აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით⁹¹ დამტკიცდა „აჭარაში კინოწარმოების ხელშეწყობის“ მიზნობრივი პროგრამა 100 000 ლარის ბიუჯეტით⁹², რომლის მიზანია⁹³ კინოინდუსტრიის განვითარება. პროგრამით გათვალისწინებული იყო 20% თანადაფინანსების პრინციპით 24 კინოწარმოებლის დაფინანსებისათვის 89890 ლარი, საინფორმაციო მხარდაჭერისათვის 4000 ლარი და პროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურების და საკომუნიკაციო ხარჯებისათვის 6110 ლარი. წარმოდგენილი მტკიცებულებებით⁹⁴ ირკვევა, რომ პროგრამით გათვალისწინებული ფინანსური ბარიერის გამო მიზანი არ არის მიღწეული და შესაბამისად კინოწარმოებასთან დაკავშირებით ხარჯებიც არ არის გაწეული, თუმცა პროგრამის მიზნის მიუღწევლობის პირობებში კოორდინატორისთვის გადახდილია 4093,67 ლარი.⁹⁵

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე, დამტკიცებული განათლებისა და კულტურის ღონისძიებებისათვის გაწეულ ხარჯებიდან, აუდიტის პერიოდში 111420 ლარის ხარჯვაზე შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენლობის გამო საბიუჯეტო სახსრების მიზანშედეგობრივი ხარჯვა ვერ დგინდება.

✓სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტსა და შპს „ART+“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით⁹⁶ 2012 წლის 21 დეკემბერს რესტორან

⁹⁰ ალექო ადეიშვილი, განათლება „საინჟინრო მეცნიერებათა ბაკალავრი“

⁹¹ 2012 წლის 5 ივნისის N87 განკარგულება.

⁹² პროგრამა იწყება 2012 წლის ივნისში და მთავრდება დეკემბერში.

⁹³ რეგიონში კინოწარმოების ხელშეწყობა და კინოინდუსტრიის განვითარება, რეგიონის მოსახლეობის დაინტერესება და ჩართვა კინოინდუსტრიაში, რეგიონის ცნობადობის გაზრდა და ტურიზმის ხელშეწყობა.

⁹⁴ პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი კინოპროექტების შესარჩევი კომისიის 2012 წლის 9 ოქტომბრის N1 და 2012 წლის 13 ნოემბრის N2 სხდომის ოქმი.

⁹⁵ ბრძანება N8-15/06 2012 წ-ნათია ბლაგძის პროგრამის კოორდინატორად დანიშნასთან დაკავშირებით და ბრძანება N37-30/11/2012წ-ნათია ბლაგძის განთავისუფლებასთან დაკავშირებით.

⁹⁶ N316-20/12/2012 წელი, სახელშეკრულებო ღირებულება 15000 ლარი.



„რივიერაში“ ახალგაზრდული ღონისძიების⁹⁷ ორგანიზებისათვის მიმწოდებელზე გადახდილია 15000 ლარი. 2012 წლის 24 დეკემბერს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდება. აუდიტის პერიოდში დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მუნიციპალიტეტების მიხედვით ღონისძიებით გათვალისწინებულ პირთა იდენტიფიცირება, ხელშეკრულებით არაა განსაზღვრული თუ რა სახის ორგანიზების შესყიდვაა გათვალისწინებული და მიმწოდებელმა ფაქტობრივად რა განახორციელა, გაურკვეველია ღონისძიების შედეგები და სამომავლო გეგმები, არც ღონისძიების მიზნებისათვის ხარჯების ფაქტობრივად გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებაა წარმოდგენილი.

✓ „სტუდენტური დღეები აჭარა 2012“-ის ორგანიზებისათვის⁹⁸ შპს „FRESHTOUR“-ზე გადახდილია 7700 ლარი, ხოლო ღონისძიების საზეიმო დახურვისათვის⁹⁹ შპს „GLI“-ისთვის გადახდილია 6100 ლარი. შემსყიდველსა და მიმწოდებლებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდება, თუმცა ხელშეკრულებით არაა განსაზღვრული თუ რა სახის ორგანიზების შესყიდვაა გათვალისწინებული და მიმწოდებელმა ფაქტობრივად რა განახორციელეს, არც ღონისძიების ფარგლებში ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებაა წარმოდგენილი.

✓ „პლაჟის რაგბის ფესტივალზე“ ჩამოსული დელეგაციების წევრების ღამისთევის, კვების და საზეიმო ბანკეტის ორგანიზებისათვის¹⁰⁰ შპს „დელტა ჯორჯიაზე“ გადახდილია 16260 ლარი. შემსყიდველსა და მიმწოდებლებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდება. აუდიტის პერიოდში დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი პროგრამის მონაწილე პირთა იდენტიფიცირება, ხელშეკრულებაში არ არის გამიჯნული გასაწევი ხარჯების ნუსხა, მიღება-ჩაბარების აქტში არაა დეტალურად მითითებული ფაქტობრივად რისი ორგანიზება იქნა განხორციელებული და არც ღონისძიების ფარგლებში

⁹⁷. „აჭარის მუნიციპალიტეტებიდან გამორჩეული ახალგაზრდების შეხვედრა, გაცნობა, სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვა“

⁹⁸. შპს „FRESHTOUR“ N159-13/06/2012წ-სახელშეკრულებო ღირებულება 7700 ლარი.

⁹⁹. შპს „GLI“ N161-13/06/2012 წელი-სახელშეკრულებო ღირებულება 6100 ლარი.

¹⁰⁰. შპს „დელტა ჯორჯია“-08/08/2012წ-სახელშეკრულებო ღირებულება 16260 ლარი.

ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებაა წარმოდგენილი.

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით¹⁰¹ დამტკიცებული სამინისტროს ღონისძიებებიდან, დედა-ენისა და წიგნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 13 765 ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელბელთან¹⁰² გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით საბიუჯეტო სახსრები გადახდილია სასტუმროს მომსახურებისათვის 1 396 ლარი, მოსაწვევების, კონკერტების, ბარათების და სხვა აქსესუარებისათვის (474+890+800+1200) 3 364 ლარი, მგზავრობის ხარჯებისათვის (180+920) 1 100 ლარი, აუდიო წიგნებისათვის 1 500 ლარი, ფილმებისათვის 300 ლარი, სულ 7 660 ლარი. გამომდინარე იქედან, რომ ღონისძიების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე და შემდგომ პერიოდშიც (რის საფუძველზეც დაიგეგმა ღონისძიება და განისაზღვრა ბიუჯეტი) არაა განსაზღვრული და შესაბამისად გაანგარიშებული გასაწევი ხარჯების სახეობა, დანიშნულება, მიზნობრიობა და ოდენობა, ამდენად ხარჯების მიზანშედეგობრიობა და ფაქტობრივად დანიშნულებისამებრ გაწევა წარმოდგენილი დოკუმენტებით¹⁰³ ვერ დასტურდება.

✓ 2012 წლის 7 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებით¹⁰⁴ 2012 წლის 17-22 ივლისს „ჯაზ-ფესტივალის“ ორგანიზებისათვის შპს „ისტერნ პრომოუშენი“- სთვის გადახდილია 35000 ლარი. 2012 წლის 22 ივლისს მიმწოდებელთან გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი და დადასტურებულია ხელშეკრულების პირობების შესრულება. წარმოდგენილ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რა ვალდებულება აქვს აღებული და რა სახის მომსახურების გაწევა უნდა განეხორციელებინა მიმწოდებელს. მიღება-ჩაბარების აქტშიც არ არის

¹⁰¹. განათლების, კულტურისა და სპორტის ღონისძიებები : განკარგულება N4. 17/01 - 2012 წ- 23 დასახელება- 700 000 ლარი. N138. 24/07-2012წ, 36 დასახელება- 861 910 ლარი. N220. 26/12-2012წ-38 დასახელება - 861 910 ლარი.

-განკარგულება N29, 28/02-2012წ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2012 წლის განათლებისა და კულტურის სფეროში ღონისძიებების ფარგლებში გამართივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ.

¹⁰². ა. (ა). ი. პ. „კავკასიონი“ ხელშეკრულება N118, 119-19/04-2012 წ- (9080+890) 9 970 ლარი, შპს „ჩაო“ ხელშეკრულება N106, 12/04-2012 წ.-1 396 ლარი, სსიპ „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“ ხელშეკრულება N122, 19/04-2012 წ.-1 925 ლარი და შპს „GAMA PROMOTION“ ხელშეკრულება N108.12/04-2012წ-474 ლარი.

¹⁰³ სასტუმროში ღონისძიებისათვის გადახდილი თანხების იდენტიფიცირება, მოწოდებული აქსესუარებისა, წიგნების, ფილმების და სხვა აქსესუარების ფაქტობრივად დამზადება-მოწოდების დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადებიან/და ანგარიშფაქტურა.

¹⁰⁴. შპს „ისტერნ პრომოუშენი“, N262 -17,07, 2012 წელი-35000 ლარი.



მითითებული მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად რა სახის მომსახურება იქნა გაწეული.

იმ პირობებში, როდესაც სამინისტრო მიღება-ჩაბარების აქტით ადასტურებს ჯაზ-ფესტივალის ღონისძიებისათვის გამოყოფილი თანხის სრულად ათვისებას და ღონისძიების სრულყოფილ ჩატარებას, 2012 წლის 17 ივლისს კვლავ გაფორმებულია ხელშეკრულებები¹⁰⁵ და „სხვადასხვა ფესტივალებისა და კონცერტების“ ღონისძიების ბიუჯეტიდან 5275 ლარი დაფინანსებულია ჯაზ-ფესტივალის მუსიკოსების ღამისთევსათვის და კვებისათვის, თუმცა გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით არაა იდენტიფიცირებული თუ ვისზე იქნა გაწეული ხარჯები, რა პერიოდში და რა ოდენობით.

სათანადო რწმუნების მისაღებად, გარე დადასტურებით¹⁰⁶ წარმოდგენილი მტკიცებულებით ირკვევა, რომ შპს „ისტერნ პრომოუშენის“ მიერ¹⁰⁷ ხელშეკრულების გაფორმებამდე, 2012 წლის 6 აპრილს LOFTIS INTERNATIONAL INC“-ზე გადახდილია 15000 აშშ დოლარი, ხოლო 2012 წლის 6 ივლისს სს „ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთის წარმომადგენლობაზე საქართველოში“ გადახდილია 91000 ლარი, ამდენად სამინისტროს მიერ მიმწოდებელთან 40275 ლარის ოდენობის ვალდებულების აღება და ხარჯების მიზანშედეგობრივად გაწევა საფუძველს მოკლებულია.

✓ ფილმის „GOODBYE KATIA“ გადაღების თანადაფინანსებისათვის ღონისძიებების მუხლით გამოყოფილი 20 300 ლარი ათვისებულია მთლიანად, მათ შორის: 2012 წლის 14 მაისს¹⁰⁸ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო შპს „მარი ჯგუფის“ მიერ 6 დღის ხანგრძლივობით 43 კაცის ღამისთევა და გადახდილია 8580 ლარი, ხოლო შპს „სანატორიუმ-სასტუმრო ოაზისში“ 5 დღის ხანგრძლივობით 120,140 და 200 კაცის კვებით უზრუნველყოფა და გადახდილია 11400 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება იმ პირთა იდენტიფიცირება და მათზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯები, ვისზეც იქნა გახარჯული საბიუჯეტო სახსრები.

¹⁰⁵. ი/მ „დავით წურჭავაძე“ N264-17.05.2012წ- ღამისთევსათვის 3025 ლარი. შპს „PIRATEBAY“ N263-17.07.2012წ-2250 ლარი.

¹⁰⁶. სამინისტროს 2013 წლის 3 აპრილის N01-16/879წერილი და შპს „ისტერნ პრომოუშენი“ს 2013 წლის 08 აპრილის N6/13 წერილი.

¹⁰⁷. 27.03.2012 წელი, „ LOFTIS INTERNATIONAL INC“-თან სახელშეკრულებო ღირებულება 15000 აშშ დოლარი.

¹⁰⁸. შპს „მარი ჯგუფი“-ხელშეკრულება N171-14.05.2012წ- ღამისთევსათვის 8580 ლარი, შპს „სანატორიუმ-სასტუმრო ოაზისი“-ხელშეკრულება N172-14.05.2012წ- კვებისათვის 11400 ლარი,

3. სამინისტროს მიერ „ტურიზმის განათლების განვითარების ხელშეწყობის“ მიზნობრივი პროგრამისათვის 1121010 ლარით ბიუჯეტის განსაზღვრა, პროგრამის შედგენა-მართვა და განხორციელება რისკის შემცველია, მის არასრულყოფილად, არამიზანშედეგობრივად დაგეგმვაზე და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად მოთხოვნა-განკარგვაზე მიუთითებს.

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით ¹⁰⁹ დამტკიცდა „ტურიზმის განათლების განვითარების ხელშეწყობის“ მიზნობრივი პროგრამა 198700 ლარის ბიუჯეტით¹¹⁰, რომლის მიზანია¹¹¹ ტურიზმის განათლების განვითარება. პროგრამა ითვალისწინებდა: 2012 წლის აგვისტო-სექტემბრის თვეში ტურიზმის საბაზრო კვლევას (ბიუჯეტი 28 380 ლარი), 2012 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზს (ბიუჯეტი 56760 ლარი), 2012 წლის ოქტომბერ-დეკემბრის თვეებში ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/არსებულის გაუმჯობესებას (ბიუჯეტი 56760 ლარი), კოორდინატორის შრომის ანაზღაურებას (ბიუჯეტი 4800 ლარი) და პროგრამის განხორციელების მხარდაჭერას (ბიუჯეტი 52000 ლარი). პროგრამის უზრუნველსაყოფად, 60788 ლარის გადახდის ვალდებულების პირობით, გაფორმდა ხელშეკრულება¹¹² ზალცბურგის ტურიზმის სკოლის და ზალცბურგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან¹¹³. 2012 წლის 23 ოქტომბერს სამინისტროს მიერ გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი, დადასტურებულია მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება და გადახდილია სახელშეკრულებო ღირებულება 60788 ლარი.

სამინისტროს მიერ დაგეგმვის ეტაპზე შედგენილ პროგრამაში და შემდგომში მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც, დეტალურად არ არის გამოიჯნული რა საქმიანობის განხორციელებას და ხარჯების გაწევას ითვალისწინებს თითოეული ღონისძიება, არც მიღება-ჩაბარების აქტშია ასახული დეტალურად რა

¹⁰⁹. 2012 წლის 5 ივნისის N86 განკარგულება.

¹¹⁰. პროგრამა იწყება 2012 წლის ივნისში და მთავრდება 2013 წლის დეკემბერში. საერთო ბიუჯეტი შეადგენს 1 121 010 ლარს, მათ შორის 2012 წლის ქვეპროგრამით 198700 ლარს და 2013 წელში 922310 ლარს.

¹¹¹. რეგიონში კინოწარმოების ხელშეწყობა და კინოინდუსტრიის განვითარება, რეგიონის მოსახლეობის დაინტერესება და ჩართვა კინოინდუსტრიაში, რეგიონის ცნობადობის გაზრდა და ტურიზმის ხელშეწყობა.

¹¹². N318, 24.08.2012 წელი. ხელშეკრულების მიხედვით მომსახურება უნდა განხორციელებულიყო 2012 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდში ხელშეკრულების მე-3 მუხლი, ხოლო მე-6 მუხლის 6.1 პუნქტით. გათვალისწინებულია პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცდილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,07%.

¹¹³. გაბრიელა ტიშლერი და ევა ბრუკერი.



სახის საქმიანობა შესრულდა, რა ვადებში და რა ღირებულების. წარმოდგენილი მტკიცებულებით ვერ იქნა მიღებული სათანადო რწმუნება იმისა, რომ რის საფუძველზე და რომელი საქმიანობისათვის განხორციელდა მიმწოდებელთან სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა 60788 ლარით, მაშინ როდესაც ტურისმის კვლევა და საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის ღონისძიებისათვის პროგრამით გათვალისწინებული იყო (28380+56760) 85140 ლარის ხარჯების გაწევა. წარმოდგენილი დოკუმენტებით¹¹⁴ ირკვევა, პროგრამის ფარგლებში ტურიზმის საბაზრო კვლევა¹¹⁵ უნდა დასრულებულიყო 2012 წლის სექტემბერში და ფაქტობრივად დასრულებულია 23 ოქტომბერს, რაზედაც სამინისტროს მიერ უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრება სავარაუდოდ¹¹⁶ 62 ლარი, რაც არ განხორციელებულა, ხოლო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/არსებულის გაუმჯობესების¹¹⁷ ღონისძიება 2012 წელში საერთოდ არ იქნა განხორციელებული.

4. აუდიტის მიმდინარეობისას ვერ იქნა მიღებული სათანადო რწმუნება ბიუჯეტიდან 454107¹¹⁸ ლარის ხარჯების გაწევით გალა კონცერტებიდან, გასტროლებიდან და სპექტაკლებიდან შემოსავლების ფაქტობრივად მიუღებლობასთან დაკავშირებით, რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტესა და საბიუჯეტო სასრების არარაციონალურ ხარჯვაზე მიუთითებს.

✓ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის 2012 წლის შემოსავლები შეადგენს¹¹⁹ 3818391,8 ლარს, მათ შორის გალა კონცერტებიდან და სპექტაკლებიდან მიღებული შემოსავალი 89331,8 ლარს. ცალკეული ღონისძიების უზრუნველსაყოფად ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შედგენილია გასაწევი ხარჯების ნუსხა და ასიგნების ფარგლებში გამოყოფილია საბიუჯეტო სახსრები, ხოლო შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებით გამოცემულია ბრძანება, დამტკიცებულია ბილეთის ღირებულება და მოსაწვევების რაოდენობა. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მაშინ როდესაც ცალკეული ღონისძიების

¹¹⁴. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 31 დეკემბრის N226 განკარგულება პროგრამის ბიუჯეტის დაზუსტებათან დაკავშირებით და საბუღალტრო დოკუმენტაცია.

¹¹⁵. უნდა გახარჯულიყო 28380 ლარი გაწეულია 4028 ლარი, ანუ შეუსრულებელი ღონისძიების ღირებულება შეადგენს 24352 ლარი.

¹¹⁶. $4028 \times 0,07\% = 17$ ლარი $\times 22$ დღე = 62 ლარი.

¹¹⁷. ითვალისწინებდა 56760 ლარის ხარჯების გაწევას, რაც ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

¹¹⁸. $282970,9 + 89601 + 81535,2 = 454107,1$ ლარი.

¹¹⁹. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 3729060 ლარი, ეკონომიკური საქმიანობიდან 89331,8 ლარი.

უზრუნველსაყოფად ბიუჯეტიდან გაწეულია 287835,79 ლარის ხარჯები, ღონისძიების ფარგლებში ბილეთების რეალიზაციიდან მიღებულია 282970,9 ლარით ნაკლები¹²⁰, 4865 ლარის შემოსავალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 7 შემთხვევაში ჩატარებული გალა კონცერტებიდან და გასტროლებიდან¹²¹ წარმოდგენილი დოკუმენტებით შემოსავლები საერთოდ არაა მიღებული.

✓ სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის“ მიერ აუდიტის პერიოდში 34 შემთხვევაში დადგმულია 8 სპექტაკლი და გაწეულია 111105 ლარის ხარჯები, თუმცა მიღებული შემოსავალი¹²² შეადგენს მხოლოდ 21504 ლარს¹²³ (89601 ლარით ნაკლებს).

✓ სსიპ აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ხორუმის“ მიერ აუდიტის პერიოდში 21 შემთხვევაში ჩატარებულია სოლო/გეგმიური კონცერტი, გასტროლი და გაწეულია 83035,18 ლარის ხარჯები, თუმცა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია მიღებული შემოსავალი 1500 ლარი. (გაწეული ხარჯებთან შედარებით 81535,2 ლარით ნაკლები).

5. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო დრამატულ თეატრს საშტატო განრიგით დამტკიცებული აქვს მთავარი მხატვარის და მხატვარის 2 საშტატო ერთეული, დასაქმებულ პირებზე შესრულებული სამუშაოებისათვის ყოველთვიურად გაცემულია შრომის ანაზღაურება, სპექტაკლების სამხატვრო სამუშაოების შესასრულებლად დამატებით გაწეულია 7500 ლარის ხარჯები, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიკურ და არარაციონალურ ხარჯვაზე მიუთითებს.

✓ სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის“ საშტატო განრიგით დამტკიცებულია მთავარი მხატვარის 1 საშტატო ერთეული, წლიური სახელფასო ფონდით 9745,5 ლარი და მხატვარის ერთი ერთეული წლიური სახელფასო ფონდით 5910 ლარი. აღნიშნულ თანამდებობებზე დასაქმებულ პირებზე წლის განმავლობაში სულ გაცემულია შრომის ანაზღაურების

¹²⁰ .სპექტაკლი „სოფლის ღირსება“-ხარჯები-8357 ლარი, შემოსავლები 874 ლარი, მუსიკალური თეატრის „როკ-ოპერა“-ხარჯი 52980,1 ლარი, შემოსავალი 1993 ლარი, სპექტაკლი „სოფლის ღირსება“-ხარჯი -5462 ლარი, შემოსავალი 54 ლარი. სპექტაკლი „ტრავიატა“-ხარჯი 1967 ლარი, შემოსავალი 73 ლარი. „ზაფხულის ფესტივალი“-ხარჯი 67109,65 ლარი, შემოსავალი 1315 ლარი.

¹²¹ . 2012 წლის 25 თებერვალს გალა კონცერტი, 2012 წლის 4 ნოემბერს სპექტაკლი „სოფლის ღირსება“, 2012 წლის 29 ნოემბერს კლასიკური მუსიკის კონცერტი, 2012 წლის 8 ნოემბერს მუსიკალური თეატრი „როკ-ოპერა“, 2012 წლის 27 დეკემბერს მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო „მე აქ ვიყავი“, 2012 წლის 11 დეკემბერს გასტროლები ქ. ერევანში და 2012 წლის 15 დეკემბერს გასტროლები ქ. თბილისში.

¹²² . საშუალოდ ერთი სპექტაკლიდან მიღებულია (21504/34) 632,47 ლარს.

¹²³ . სულ მიღებული შემოსავალი შეადგენს 1047020 ლარს, მათ შორის ბიუჯეტიდან 953100 ლარი სპექტაკლებიდან 21504 ლარი, სხვა შემოსავლებიდან 72416 ლარი.



სახით 15655,45 ლარი. მიუხედავად აღნიშნულისა, დრამატული თეატრის ხელმძღვანელობის მიერ სპექტაკლების¹²⁴ მხატვრული გაფორმებისათვის და მსახიობთა კოსტუმების დახატვა კონტროლისათვის მთავარ მხატვართან გაფორმებულია ხელშეკრულება 125 და სპექტაკლის „მეტრო“ მაკეტის სამუშაოებისათვის დამატებით ბიუჯეტიდან გადახდილია 3750 ლარი, ხოლო ფიზიკურ პირ აივენგო ჭელიძეზე¹²⁶ სპექტაკლის „უბრალო ამბავის“ სამუშაოებთან დაკავშირებით გადახდილია 3750 ლარი.

6. სამინისტროს ბუღალტრულ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულ იურიდიული პირების მიერ სასტუმროს ბინით სარგებლობის და კვებისათვის ბიუჯეტიდან გადახდილი 13500 ლარის მიზანშედეგობრივად ხარჯვა წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება.

✓ სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ სასტუმროს მომსახურებისათვის შპს „ბაკურზე“ გადახდილია 5500 ლარი, მათ შორის 2012 წლის 6 მარტს გაფორმებული N24/1 ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილია 1500 ლარი, ხოლო 2012 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული N138 ხელშეკრულების საფუძველზე 4000 ლარი.

✓ სსიპ აჭარის ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი „ხორუმის“ მიერ 2012 წლის 30 აპრილს შპს „აჭარულ-ლაზურთან“ სარესტორნო მომსახურებისათვის გაფორმებული N15 ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილია 8000 ლარი.

საბიუჯეტო სახრების ხარჯვასთან დაკავშირებით აუდიტის პერიოდში იურიდიული პირების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება, რაც არ გვაძლევს სათანადო რწმუნებას გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად მიზნობრივად იქნა გაწეული ხარჯები.

7. სამინისტროს ბუღალტრულ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული პირების მიერ 26825.9 ლარის ღირებულების საწვავის და მედიკამენტების ხარჯვა განხორციელებულია ფაქტობრივად ხარჯვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, რაც საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვაზე მიუთითებს.

✓ აუდიტის პერიოდში, ტრანსპორტის ხარჯების მუხლით, სამინისტროს ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაცემულია 26 730 ლარის

¹²⁴. მეტრო და უბრალო ამბავი.

¹²⁵. გალაქტიონ გოგიბერიძე, ხელშეკრულება N26/1-10/03/2012წ.-2000 ლარი, N36-30/03/2012წ.-1750 ლარი.

¹²⁶. ხელშეკრულება N110-12/09/2012წელი-3750 ლარი.

ღირებულების საწვავი. მათ შორის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში გახარჯულია 14890 ლარის, ხოლო ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებებით თანამშრომლთა მივლინებისათვის 11840 ლარის ღირებულების საწვავი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის¹²⁷ ანალიზით ირკვევა, რომ სამინისტროს მივლინებასთან დაკავშირებით, საწვავის ხარჯვის ლიმიტი დამტკიცებული არა აქვს და არც თანამშრომელთა მივლინების ბრძანებებშია აღნიშნული გასაცემი საწვავის ოდენობა-ლიმიტი¹²⁸.

✓ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტს აუდიტის პერიოდში ბალანსზე ერიცხება ერთი ერთეული ავტომანქანა¹²⁹ რომელზეც გაცემულია 6090 ლიტრი საწვავი (ბენზინი), მათ შორის: ლიმიტების დამტკიცების გარეშე, თანამშრომელთა მივლინებისათვის დეპარტამენტის ბრძანებებით გაცემულია - 2100 ლიტრი, ხოლო 3990 ლიტრი¹³⁰ 8618,4 ლარის ღირებულების საწვავი გაცემულია 2011 წლისათვის დამტკიცებული საწვავის ლიმიტის შესახებ ბრძანების საფუძველზე¹³¹, თუმცა აღნიშნული ბრძანება გამოცემული და განსაზღვრულია კონკრეტულად 2011 წელს დასაქმებულ მომსახურე პასუხისმგებელ პირ-რევავ ხარაზზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის აგვისტოს თვეში აღნიშნულ ერთ ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გაცემულია (630+570) 1200 ლიტრი საწვავი, თუმცა გაცემის საფუძველი, აუცილობლობა და ფაქტობრივად ხარჯვის მდგომარეობა წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება.

აუდიტის მიმდინარეობისას დადგინდა, რომ დეპარტამენტის თანამშრომლების მივლინებისათვის ბრძანებით გაცემულია და აღიარებულია ხარჯად 360 ლიტრი¹³², საშუალო ფასით 777,6 ლარის ღირებულების საწვავი, თუმცა

¹²⁷ . რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი და ბრძანების რეგისტრაციის ჟურნალი.

¹²⁸ . ცალკეულ რეგიონებში მივლინების პერიოდში გავლილი მანძილი, რაც მითითებულია რესურსების მართვის დეპარტამენტის მოხსენებით ბარათში.

¹²⁹ . ჰიუნდაი ტუსქსონი სახ. ნომრით DXD-431.

¹³⁰ . საშუალო ფასით 1 ლიტრი - 2,16 ლ, სულ 8618,4 ლარი

¹³¹ . 2011 წელის 15 თებერვლის ბრძანება N01-02/261 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის საქვეუწყებო დაწესებულება -სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის საწვავის ლიმიტის დამტკიცების შესახებ“

¹³² . ბრძანება N01-05/24-04/05/2012წ ნოდარ ფუტყარაძე-120 ლიტრი. ბრძანება N01-05/46-03/08/2012წ. არმაზ მელაძე-40 ლიტრი, ბრძანება N01-05/48-14/08/2012წ არმაზ მელაძე, მინდია სიხარულიძე -30 ლიტრი. ბრძანება N01-05/50-17/08/2012წ. არმაზ მელაძე 40 ლიტრი. ბრძანება N01-05/59-03/09/2012წ არმაზ მელაძე, მინდია სიხარულიძე -30 ლიტრი. ბრძანება N01-05/62-20/09/2012წ არმაზ მელაძე -20 ლიტრი. ბრძანება N01-05/75-26/10/2012წ არმაზ მელაძე -20 ლიტრი. ბრძანება N01-05/76-26/10/2012წ ირაკლი ბერიძე -30 ლიტრი. ბრძანება N01-05/88-25/12/2012წ მერაბ ნაგერვაძე, რამაზ სანებლიძე, მინდია ქათამაძე -30 ლიტრი.



წარმოდგენილი დოკუმენტაციით აღნიშნულ პერიოდში თანამშრომელთა ფაქტობრივად მივლინებაში ყოფნა საკასო ხარჯების მიხედვით არ დასტურდება¹³³.

✓ ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის“ მიერ აუდიტის პერიოდში შეძენილი 2997,9 ლარის ღირებულების მედიკამენტების¹³⁴ ხარჯვა და ჩამოწერა განხორციელებულია სკოლის დირექტორის მოადგილის, ექიმის და მედდების მიერ ავტორიზებული მედიკამენტების ხარჯვის აქტებით. წარმოდგენილ მასალებით არ დასტურდება, ხარჯვის აქტების შედგენის დრო, შეძენილი მედიკამენტებიდან რა რაოდენობისა და ღირებულების იქნა გადანაწილებული ცალკეულ პასუხისმგებელ პირზე, როდის და რომელი ღონისძიების მიმდინარეობისას იქნა გახარჯული, ვის მიერ, რა სახის მედიკამენტი იქნა გახარჯული და ფაქტობრივად ვის მოხმარდა, ამდენად, სკოლის მიერ 2997,9 ლარის ღირებულების მედიკამენტების ფაქტობრივად ხარჯვა წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

8. სსიპ „სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა“ პანსიონის აღსაზრდელთა კვების მომსახურებისათვის ზედმეტადაა გადახდილი მიმწოდებელზე 6195,2 ლარი, რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტესა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვაზე მიუთითებს.

✓ სალიბაურის N2 საჯარო სკოლასა და ინდ. მეწარმე „მანანა ვერულიძეს“ შორის 2012 წლის 30 იანვარს გაფორმებული N03-05/18 ხელშეკრულების (სახელშეკრულებო ღირებულება 176000 ლარი) საფუძველზე, მიმწოდებელი ვალდებულია 2012 წლის 1 თებერვლიდან 23 დეკემბრამდე პერიოდში, 160 დღეზე, პანსიონის 220 აღსაზრდელზე, უზრუნველყოს დღეში სამჯერადი კვების მომსახურება. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ფაქტობრივად ყოველ კვირაში 220 ბავშვზე, ორშაბათის საუზმე და პარასკევის ვახშამის კვებით უზრუნველყოფა არ განხორციელებულა, სახელშეკრულებო თანხა კი გადახდილია სრულად¹³⁵. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ანგარიშსწორებისათვის არსებული გაანგარიშებების გათვალისწინებით, (რაც ითვალისწინებს დღეში 1 კაცზე 5 ლარი) კვირის სხვა დღეებში ხარჯების დაუსაბუთებელად, გაზრდილია ყოველდღიური ხარჯების ოდენობები და ფაქტობრივად შეუსრულებელ მომსახურებაზე შემსყიდველის მიერ გადახდილია არანაკლებ 6195,2 ლარით მეტი.

¹³³. მივლინებაში ყოფნის დამადასტურებელი საბუთები: მოხსენებითი ბარათი, მივლინების ბარათი, მივლინების ხარჯების გაანგარიშება არ არის წარმოდგენილი.

¹³⁴. ს/ზ N0011103360-800 ლარი, N21-800 ლარი, N0036476841-498,72 ლარი, N0037214268-399,9 ლარი, N0036453966-181 ლარი, N0036480254-1,3 ლარი, N0044985278-317,05 ლარი, სულ 2997,9

¹³⁵. 27/02-23100ლ., 27/03-23100ლ., 26/04-17600ლ., 28/05-24200ლ., 13/06-12100ლ., 26/09-11000ლ., 25/10-25300ლ., 27/11-23100ლ., 19/12-16500ლ.

ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები:

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

სამინისტროს აპარატის ბიუჯეტით 2012 წლის ხარჯების ნაწილში დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 6 897 577 ლარს, არაფინანსური აქტივები 127 000 ლარს. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით შემდეგ, 2012 წლის ბიუჯეტი შეადგენს 6 914 797 ლარს, არაფინანსური აქტივები 121 780 ლარს. აუდიტის პერიოდში გაწეულია 6 765 525 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 964 816 ლარი, საქონელი და მომსახურება - 1 123 014 ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 20 678 ლარი, სხვა ხარჯები 4 657 017 ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდა 120 837 ლარი. ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 7 439 985 ლარს. ფაქტიურსა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა შეადგენს 674 460 ლარს, რაც გამოწვეულია ფულადი დოკუმენტების, მარაგების, საწვავის ტალონების ნაშთად არსებობით და მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში თანხების საავანსო გადახდით¹³⁶.

სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის მდგომარეობა:

✓ სამინისტროს სხვა ხარჯების (სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები. კოდი 1.8.2.2) მუხლით, საჯარო სკოლებზე შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო მონაცემებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელებულია შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების, რაოდენობებისა და ღირებულებების დადგენის საექსპერტო მომსახურება და გადახდილია 59 227,19 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ექსპერტიზა განხორციელდა 11 ერთეულ საჯარო სკოლაში 2 089 786 ლარის ღირებულების 1 726 დასახელების შესრულებულ სამუშაოებზე. იმის გათვალისწინებით რომ სკოლები ტერიტორიულად განთავსებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ქ. ბათუმი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო), ყველა შემთხვევაში ექსპერტიზა ჩატარებულია (ავტორიზებულია) ერთი პიროვნების მიერ 38 კალენდარული დღის შუალედში, მათ შორის დროის ერთი და იგივე პერიოდში. ექსპერტიზის მონაცემები (რაოდენობა,

¹³⁶. ოფისის ხარჯები- ფულადი დოკუმენტებისა და მოთხოვნების ნაშთის შემცირება. ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯები- საწვავის ტალონების ნაშთად არსებობა, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება- შეძენილი სხვადასხვა მატერიალური მარაგების ნაშთად არსებობა, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები- სტუდენტების სწავლებისათვის გადახდილი თანხებით, რაც დაბრუნებულია სრულად 2013 წლის იანვარში. კაპიტალური ხარჯები- განხორციელებული საავანსო ანგარიშსწორების სალდოს ცვლილებით.



მოცულობა, ღირებულება) აბსოლუტური სიზუსტით (მთელებისა და მეასედების ჩათვლით) ემთხვევა სახარჯთაღრიცხვო მონაცემებს. ამდენად, ექსპერტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებისა და ხარჯთაღრიცხვის მონაცემების შესაბამისობა რისკის შემცველია.

მივლინებისათვის გაწეული ხარჯების მდგომარეობა:

✓ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ 2012 წელში მივლინების მუხლით გაწეულია 13488,26 ლარის ხარჯები, მათ შორის ქვეყნის შიგნით მივლინებისათვის 2177 ლარი და ქვეყნის გარეთ მივლინებისათვის 11311 ლარი. მივლინების ხარჯების აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ 2012 წლის ივლისის თვეში დეპარტამენტის ერთიდაიმავე ორი ბრძანებით¹³⁷ დეპარტამენტის 5 თანამშრომელზე ზედმეტადაა გაცემული ქალაქ ანაკლიაში მივლინების ხარჯები 195 ლარი. რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტესა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვაზე მიუთითებს.

✓ ა(ა)იპ- „ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის“ მიერ სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარების უზრუნველსაყოფად¹³⁸ ადგილობრივი სპორტსმენებზე და მსაჯებზე, აგრეთვე მოწვეულ მსაჯებზე, მივლინებასთან დაკავშირებით დღიური ნორმის¹³⁹ გათვალისწინებით გაწეულია 43869,75 ლარის ხარჯები. თანხა ყველა შემთხვევაში გადარიცხულია სკოლის თანამშრომლებზე-ანგარიშვალდებულ პირებზე.¹⁴⁰ აუდიტის მიმდინარეობისას სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მოწვეულ მსაჯებთან გაფორმებული ხელშეკრულება/შეთანხმება ან სხვა რაიმე სახის მტკიცებულება უფლება-მოვალეობათა გამიჯვნისა და თანხის გადახდის ვალდებულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ანგარიშქვეშ გაცემული თანხებით სპორტსმენების ფაქტობრივად კვების ან/და ანგარიშვალდებულ პირების მიერ ცალკეული პიროვნებებზე (სპორტსმენი და მსაჯი) თანხების ფაქტობრივად გაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება, ამდენად სკოლის მიერ 43869,75 ლარის

¹³⁷. - N01-05/42-09/07/2012 წელი, ნოდარ ფუტყარაძის, ლაშა კილაბერიას, დავით ხაჯიშვილისა და მინდია სიხარულიძის ქალაქ ანაკლიაში მივლინებასთან დაკავშირებით.

- N01-05/43—10/07/2012წელი, არმაზ მელაძის და ირაკლი ბერიძის ანაკლიაში მივლინებასთან დაკავშირებით.

¹³⁸. სულ 122854 ლარი, მათ შორის; ტრანსპორტის ხარჯი-30808,4 ლარი, დღიური ნორმა 43869,75 ლარი, სასტუმროს მომსახურების-29394,45 ლარი, კვების ხარჯები-8808 ლარი, ვიზა და დაზღვევა-669,2 ლარი, გადახდილია ბიუჯეტში ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი-3093 ლარი, გადახდილია მიმწოდებლებზე საჩუქრების, სუვენირების, მედლებისა და სხვა აქსესუარების ღირებულება-6210,8 ლარი.

¹³⁹. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილი N 231 ბრძანებულებით დამტკიცებული მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი.

¹⁴⁰. დირექტორის მოადგილე, უფროსი მწვრთნელი, მწვრთნელი.

საბიუჯეტო სასხრების მიზნობრივი ხარჯვა რისკის შემცველია და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მდგომარეობა:

✓ სამინისტროს მიერ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლის შენობის მოწყობის განსახორციელებლად გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში¹⁴¹ მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი. ვაჭრობის საბოლოო შედეგების მიხედვით, შპს „WEST GROUP XXI“ საბოლოო ღირებულება შეადგენდა 177 777 ლარს, ხოლო შპს „სხალთა 2007“-ის 177 776 ლარს. ელექტრონული ვაჭრობის შემდეგ დაფიქსირებული ფასის შესაბამისად, უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს (შპს „სხალთა 2007“) ¹⁴² მოეთხოვა ტექნიკური დოკუმენტების და დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა და გაფორმებულია ხელშეკრულება.¹⁴³ 2012 წლის 16 ივლისს სამინისტროსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული შეთანხმებით (N1) დამატებულია ისეთი სამუშაოები, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საწყის სატენდერო წინადადებაში და გაზრდილია სახელშეკრულებო ღირებულება 16 675,9 ლარით¹⁴⁴. იმის გათვალისწინებით, რომ ვაჭრობაში მონაწილე პრეტენდენტების შემოთავაზებულ ფასებს შორის სხვაობა სიმბოლურია (1ლარი), ამდენად დამატებითი სამუშაოების სატენდერო წინადადებაში გათვალისწინება მეტი კონკურენციის და სავარაუდოდ ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯების შემცირების საფუძველი იქნებოდა.

✓ მუსიკალური ცენტრის მიერ 2012 წელს 30 შემთხვევაში¹⁴⁵ გაფორმებულ ხელშეკრულებაში ¹⁴⁶ 814038,5 ლარის ღირებულების საქონლის შესყიდვაზე მითითებულია რამოდენიმე დასახელების SPV კოდი, თუმცა მოსაწოდებელი საქონლის ზუსტ დასახელებებზე (რომელიც მითითებულია ხელშეკრულების შემადგენელ ფასების ცხრილში) არაა აღნიშნული ერთგვაროვნების განმსაზღვრელი

¹⁴¹. SPA 120013396, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შპს „სხალთა 2007“ 198 068 ლარი, შპს WEST GROUP XXI“ 205 000 ლარი.

¹⁴². ოქმი N17/2, 2012 წლის 4 ივნისი.

¹⁴³. N221, 15.06.2012 წელი, სახელშეკრულებო ღირებულება 177 776 ლარი, პირველად 2012 წლის 16 ივლისს დაზუსტების შემდეგ 194 451,9 ლარი, 2012 წლის 27 ივლისს დაზუსტებით 197 357,42 ლარი.

¹⁴⁴. დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე20 მუხლის მე2 პუნქტის მოთხოვნები.

¹⁴⁵. (4500+449+225+113,5+21970+99+1991,3+3745+2206+181+115+931+886+749932+1412+1845+303,05+170+6237+729+332,5+303,5+465+864+850+1300+330+539+7700+2950)

¹⁴⁶. N64-15/05/2012 წ. ი/მ-გია მოსიძე-9 დასახელების SPV კოდით-2206 ლარის ღირებულების საქონლის მოწოდება. N62-05/05/2012წ- შპს „ტექნოსერვისი“- 10 დასახელების SPV კოდით- 3745 ლარის ღირებულების საქონლის მოწოდება, N91-21/06/2012 წ-შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი“ 4 დასახელების SPV კოდით- 749932 ლარის ღირებულების საქონლის მოწოდება.



შესაბამისი SPV კოდები,¹⁴⁷ რაც შეძენილი საქონლის ერთგვაროვნების განსაზღვრის რისკის შემცველია და სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფის დაუშვებლობაზე თავისი არიდებაზე მიუთითებს¹⁴⁸.

✓ მუსიკალური ცენტრის მიერ 2012 წლის მაისის, ივნისის და დეკემბრის თვეში განხორციელებულია სპექტაკლების დადგმასთან დაკავშირებით 2575 ლარის ღირებულების 36 წყვილი ფეხსაცმლის¹⁴⁹, 13407 ლარის ღირებულების 52 წყვილი (ცალი) კოსტუმებისა¹⁵⁰ 4687,5 ლარის ღირებულების 25 კომპლექტი ქალის უნიფორმის¹⁵¹ და კონცერტის დადგმასთან დაკავშირებით 5917,7 ლარის ღირებულების ახალი დეკორაციების¹⁵² შესყიდვა. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული მოსაწოდებელი საქონლის ზომა, მოდელი, შემადგენლობა და ხარისხი, ხოლო მოსაწოდებელ დეკორაციებთან დაკავშირებით, ხელშეკრულებაში სრულყოფილად არაა გამიჯნული დეკორაციების პარამეტრები და შემადგენლობა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მიმწოდებლებიდან ორი პიროვნება არის ფიზიკური პირი და მოწოდებული აქვთ 18094 ლარის ღირებულების ტანსაცმელი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის მიერ შეძენაში მითითებული 26587,2 ლარის ღირებულების ფასეულობების მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივად დამზადება, მოწოდება და გადახდილი თანხის საბაზრო ფასებთან შესაბამისობა რისკის შემცველია და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

✓ მუსიკალური ცენტრის მიერ, 2012 წელს განხორციელებულია შპს „შოუ ტექნიკის ცენტრისაგან“¹⁵³ 813711 ლარის მუსიკალური ინსტრუმენტების შესყიდვა, მათ შორის მოწოდებულია 2012 წელში 749932 ლარის ღირებულების, ხოლო 63779 ლარი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება დებიტორულ დავალიანებად. ორივე შემთხვევაში ცენტრის მიერ სახელშეკრულებო ღირებულება გადახდილია ავანსად, თუმცა აუდიტის პერიოდში შემსყიდველის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო რწმუნება მიმწოდებელზე თანხის 100%-ის ავანსად გადახდის

¹⁴⁷. დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები.

¹⁴⁸. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მუხლი 23.

¹⁴⁹. ხელშეკრულება N72-23/05/2012 წელი, მიმწოდებელი ინდ მეწარმე პავლე ავდიშვი.

¹⁵⁰. ხელშეკრულება N70-22/05/2012 წელი, მიმწოდებელი ფიზიკური პირი ანა კალატოზიშვილი.

¹⁵¹. ხელშეკრულება N211-20/12/2012წელი, მიმწოდებელი ფიზიკური პირი ბადრი კახიძე.

¹⁵². ხელშეკრულება N78-04/06/2012წელი, მიმწოდებელი შპს „არტ-სოლანი“.

¹⁵³. ხელშეკრულება N91-21/05/2012წ- 749932 ლარი და N191-17/12/2012წ - 63779 ლარი, სულ 813711 ლარის მუსიკალური ინსტრუმენტების მოწოდება.

აუცილებლობასთან და გადახდილი თანხის ცენტრის მიზნებისათვის ფაქტობრივად გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც საბიუჯეტო სასხრების არარაციონალურ ხარჯვასა და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს. იმის გათვალისწინებით, რომ შესყიდვა განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელშეკრულებო პირობებში და მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული მოსაწოდებელი/მოწოდებული ინსტრუმენტების მახასიათებლები და პარამეტრები. ამდენად, მოწოდებული ინსტრუმენტების ფაქტობრივი ღირებულება, გადახდილ ფასთან მიმართებაში რისკის შემცველია.

✓ სსიპ-„ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის“ სარეკლამო კლიპების დაზადება, ბანერების კომპიუტერული დიზაინის და ფოტოგრაფირებისათვის აუდიტის პერიოდში ფიზიკურ პირ ირაკლი ბარამიძეზე გადახდილია 6250 ლარი¹⁵⁴. მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის ასახული შესასრულებელ სამუშაოთა ხარისხი, ტექნიკური მახასიათებელი, დროის ხანგრძლივობა და მოცულობა, ამდენად თეატრის მიერ თანხის მიზანშედეგობრივად ხარჯვა და გადახდილი თანხის ფაქტობრივ ღირებულებასთან შესაბამისობა რისკის შემცველია.

✓ სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის“ მიერ გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში¹⁵⁵ რიგ შემთხვევებში მოსაწოდებელი საქონელზე არაა აღნიშნული ერთგვაროვნების განმსაზღვრელი შესაბამისი SPV კოდები,¹⁵⁶ რაც შეძენილი საქონლის ერთგვაროვნების განსაზღვრის რისკის შემცველია და სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფის დაუშვებლობაზე თავის არიდებაზე მიუთითებს¹⁵⁷.

✓ სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის“ მიერ მსახიობთა კოსტუმების დამზადება-მოწოდებისათვის აუდიტის პერიოდში ი/მ „ირინე გოგუაძეზე“ გადახდილია 6166 ლარი¹⁵⁸ და შეძენილია 51 ერთეული კოსტუმი, პიჯაკი, ლაბადა და სხვა ტანსაცმელი. წარმოდგენილი

¹⁵⁴ . ხელშეკრულება N104-23/08/2012წ-1875ლ, N129-17/10/2012წ-1875ლ, N40-14/04/2012წ-1875ლ, N18-27/01/2012წ-625ლ.

¹⁵⁵ . ხელშეკრულება N40-14/04/2012წ-1875ლ, N18-27/01/2012წ-625ლ, N41/1-05/04/2012წ-2866 ლ.

¹⁵⁶ . დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები.

¹⁵⁷ . სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მუხლი 23.

¹⁵⁸ . ხელშეკრულება N120-10/10/2012წ-2400 ლარ, 12 ცალი კოსტუმისათვის. N91-15/08/2012წ-900ლ-6 ცალი კოსტუმისათვის და N41/1-05/04/2012წ-2866ლ-33 დასახელების ტანსაცმელი.



დოკუმენტებით ირკვევა, რომ ხელშეკრულებაში და მიღება-ჩაბარების აქტში არ არის გათვალისწინებული და მითითებული მოსაწოდებელი საქონლის ზომა, მოდელი, შემადგენლობა და ხარისხი, ამდენად, თეტრის მიერ შეძენაში მითითებული 6166 ლარის ღირებულების ფასეულობების მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივად დამზადება, მოწოდება და გადახდილი თანხის საბაზრო ფასებთან შესაბამისობა რისკის შემცველია და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

✓ სსიპ „აჭარის ხელოვნების მუზეუმსა და შპს „ბაღდათრემშენს“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება¹⁵⁹ აჭარის ხელოვნების მუზეუმის მრავალფუნქციური დარბაზის მშენებლობასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 30 ოქტომბრამდე პერიოდში. შემსყიდველის მიერ სახელშეკრულებო ღირებულება გადახდილია მთლიანად, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შესრულებულია მხოლოდ 58%, 220505,7 ლარის ღირებულების სამუშაოები. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოების ვადა გაგრძელდა 2013 წლის 15 მაისამდე პერიოდზე, თუმცა სამუშაოები კვლავ დაუსრულებელია, ხოლო ავანსად გადახდილ 159484 ლარზე არაა საგარანტიო უზრუნველყოფა¹⁶⁰, თანხა კი ბალანსში ნაცვლად მოთხოვნებისა, ასახულია როგორც არაფინანსური აქტივები¹⁶¹. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ფაქტობრივად შესრულება და საბიუჯეტო სახსრების გამოყენება რისკის შემცველია და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

სპორტული ფედერაციების დაფინანსების მდგომარეობა:

✓ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით¹⁶² დამტკიცებულია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის 2012 წლის ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სფეროს ღონისძიებები. დამტკიცებული

¹⁵⁹. N14-17/03/2012 წელი, სახელშეკრულებო ღირებულება-379990 ლარი.

¹⁶⁰. დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 21/1 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

¹⁶¹. დარღვეულია დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-13 მუხლის 22-ე პუნქტის მოთხოვნები.

¹⁶². განკარგულება N218,17/01/2012წწ-ღონისძიების გეგმის დამტკიცების თაობაზე და N8,17/01/2012წწ-დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების ნებართვის თაობაზე, რასაც საფუძვლად უდევს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N2557 განკარგულება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

გეგმის ფარგლებში დეპარტამენტის მიერ გაწეულია (საბალანსო კოდი) 866427 ლარის საკასო ხარჯები, საიდანაც 516798 ლარი გადახდილია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ სპორტულ ფედერაციებზე¹⁶³ სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზებისათვის. აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ღონისძიების დაფინანსებასთან დაკავშირებით ფედერაციის ხელმძღვანელებს, წარმოდგენილი აქვთ გასაწევი ხარჯების სახეობა (მივლინება, კვება, ტრანსპორტირება, ღამისთევა და სხვა ხარჯები), ღირებულება, ღონისძიების დებულება, ხარჯთაღრიცხვა, ინვოისი, ხოლო დეპარტამენტის უფროსის ბრძანების საფუძველზე განხორციელებულია დაფინანსება. თანხის ხარჯვათან დაკავშირებით დეპარტამენტსა და ფედერაციის წარმომადგენლებს შორის გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი და დადასტურებულია მომსახურება. თუმცა არ არის წარმოდგენილი ღონისძიებაში მონაწილე პირთა იდენტიფიცირება და მათზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულება¹⁶⁴. ამდენად, აუდიტის პერიოდში ბიუჯეტიდან ღონისძიების ფარგლებში თანხების მიზანშედეგობრივად და რაციონალურად ხარჯვაზე ვერ იქნა მიღებული სათანადო რწმუნება, რაც რისკის შემცველია და შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

წარმომადგენლობითი ხარჯები

სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის“ მიერ 2012 წელში წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით გახარჯულია 11181,55 ლარი. ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით წარმოდგენილია მხოლოდ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და საგადახდო დავალებები, სადაც ვერ დგინდება სტუმრების იდენტიფიცირება და ხარჯების ფაქტობრივად წარმომადგენლობითი მიზნებისათვის გაწევა. ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებით არ გვეძლევა გამოვთქვათ მოსაზრება თუ რამდენად რაციონალურად იქნა თანხები გახარჯული.

საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობა:

✓ სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრს“ ეკონომიკური საქმიანობით ჩატარებული აქვს 184 სპექტაკლი და მიღებული აქვს 30859 ლარის შემოსავალი. აუდიტით დადგინდა, რომ თეატრის მიერ ბილეთების რეალიზაცია განხორციელებულია საკასო აპარატის გარეშე, ხოლო

¹⁶³. ზამთრის სახეობათა, ხელბურთის, ფეხბურთის, ჭიდაობის, ჰოკეის, კალათბურთის, ძიუდოს, ძალოსნობის, ფარიკაობის, სპორტული ცეკვების, მძლეოსნობის და სხვა.

¹⁶⁴. ცალკეული პიროვნებებზე მივლინების, კვების, ტრანსპორტირების, ღამისთევასა და სხვა ხარჯების ფაქტობრივად გაწევის შესახებ.



საბუღალტრო ჩანაწერებში რეალიზებული ბილეთების რაოდენობასთან დაკავშირებით ავტორიზაცია განხორციელებულია ერთი პირის მიერ, ასევე არ არის აღრიცხული რეალიზებული ბილეთების ნუმერაცია, რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

თანამშრომელთა სწავლებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების მდგომარეობა:

✓ სსიპ „ბათუმის სახემწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორის ბრძანებების¹⁶⁵ და შესაბამისი მიწვევების საფუძველზე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სწავლებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით ცენტრის 8 თანამშრომელზე წინასწარი გადახდის პირობით გადახდილია 203590 ლარი. აუდიტის პერიოდში ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო რწმუნება, როგორც ავანსად გადახდილი თანხების საგარანტიო უზრუნველყოფაზე, ასევე ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებული ფიზიკური პირების ცენტრის მიმართ რაიმე სახის ვალდებულებაზე. აღნიშნული გარემოება საბიუჯეტო სახსრების მიზანშედეგოებრივად ხარჯვის რისკის შემცველია და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

აუდიტორი

ნადიმ ბოლქვაძე

ნ. ბოლქვაძე

თარიღი 19.06.2017წ

აუდიტორ-ასისტენტი

გურანდა გვაზავა

გ. გვაზავა

თარიღი 19.06.2017წ

¹⁶⁵. -N40-27/07/2012 წელი-საოპერო სტუდიის სოლისტ ირაკლი კახიძის საფრანგეთში სწავლებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით 31766 ლარის გამოყოფის თაობაზე.
-N26-16/07/2012 წელი-კაპელის მსახიობ შორენა აბუსერიძის საფრანგეთში სწავლებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით 28342 ლარის გამოყოფის თაობაზე.
-N25-16/07/2012 წელი-კაპელის მსახიობ ნათელა კონცელიძის საფრანგეთში სწავლებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით 28342 ლარის გამოყოფის თაობაზე.
- N9-05/07/2012 წელი-საოპერო სტუდიის სოლისტ ნონა კორიფაძის საფრანგეთში სწავლებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით 27590 ლარის გამოყოფის თაობაზე.
-N33-20/07/2012 წელი-საოპერო სტუდიის სოლისტ სულხან ჯაიანის საფრანგეთში სწავლებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით 23244 ლარის გამოყოფის თაობაზე.
-N99-25/09/2012 წელი-საოპერო სტუდიის სოლისტ ზაზა ხამათაშვილის საფრანგეთში სწავლებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით 16000 ლარის გამოყოფის თაობაზე.
-N39-27/07/2012 წელი-საოპერო სტუდიის სოლისტ ოთარ ნაკაშიძის იტალიაში სწავლებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით 21806 ლარის გამოყოფის თაობაზე.
-N180-27/12/2012 წელი-საოპერო სტუდიის სოლისტ ინგა ჯახუტაშვილის იტალიაში სწავლებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით 26500 ლარის გამოყოფის თაობაზე.

კოდი		ანგ	საწყისი	საბოლოო
აქტივები				
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
10	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		0
20	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		0
30	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		0
40	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		0
50	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		0
60	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		0
70	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		0
80	დეპოზიტები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1260		0
90	დეპოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში	1270		0
100	ხაზინის საგაყიდვო ანგარიში	1280		0
110	სხვა ანგარიშები ბანკში	1290		0
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		0
130	მოკლევადიანი სესხები	1320		0
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		0
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		0
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		0
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		0
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსური აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		0
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		0
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		0
210	გადახდილი დღგ	1356		0
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		0
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		0
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		0
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		0
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		0
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		0
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430	1235529	303172
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		0
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		0
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		0
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		0
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	1263	23100
340	გრძელვადიანი სესხები	1510		0
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		0
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		0
II. არაფინანსური აქტივები				

370	სტრატეგიული მარაგები	1610		0
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620	53230	27465
390	შენობა-ნაგებობები	2110	494835	350351
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	255161	283975
410	სხვა ძირითადი აქტივები	2130		0
420	დაუმთავრებელი მშენებლობა	2140		0
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	7456	32568
440	ფასეულობები	2300		0
450	არაწარმოებული აქტივები	2400	96262	96262
ვალდებულებები და კაპიტალი				
I. ვალდებულებები				
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		0
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		0
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	159	159
490	ვალდებულებები ბარტერით	3230		0
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		0
510	გადასახდელი დღგ	3242		0
520	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		0
530	სხვა გადასახდელები	3244		0
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		0
550	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		0
560	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		0
570	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		0
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		0
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		0
600	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		0
610	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		0
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		0
630	გადასახდელი სტიპენდიები	3258		0
640	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		0
650	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		0
660	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		0
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		0
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		0
II. კაპიტალი				
690	წმინდა ღირებულება	5100	2143576	1116734
700	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		0
710	გაუნაწილებელი მოგება	5220		0
720	დაუფარავი ზარალი *	5230		0
III. საცნობარო მუხლები				

730	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	1	0	0
740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	2	0	0
750	გადახდის უუნარო დებიტორებზე ჩამოწერილი დავალიანება	3	0	0
760	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	4	0	502
770	პირობითი მოთხოვნები	5	0	0
780	პირობითი ვალდებულებები	6	0	0
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	7	0	0
800	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	8	0	35211
810	გადაგადაცილებული დავალიანებები	9	0	0
820	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	0	32250
830	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	0	0

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო კოდი 245427667
 პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2012 წლის IV კვარტალი ზომის ერთეული: ლარი

სტრიქ	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	ეკო.კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	საკასო ხარჯი
10	1. არაფინანსური აქტივების ზრდა	31	127000	121780	120837	120837	120837
20	1.1 ძირითადი აქტივები	311	0	0	120837	120837	120837
30	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	0	0	9580	9580	9580
40	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
50	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	0	0	0	0	0
60	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალური	31113					
70	1.1.1.4 ქუჩები	31114					
80	1.1.1.5 გზები	31115					
90	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მილსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111	0	0	9580	9580	9580
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	0	0	111257	111257	111257
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	0	0	94900	94900	94900
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	0	0	16357	16357	16357

180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113					
190	1.1.3.1 კულტურული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმზავრებული წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143					
350	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432					
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და სპორტის სამინისტრო
პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2012 წლის IV კვარტალი
კოდი 245427667
ზომის ერთეული: ლარი

სტრიქ	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	ეკო.კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	შოთხონა	საკასო ხარჯი
10	1. არაფინანსური აქტივების ზრდა	31	127000	121780	120837	120837	120837
20	1.1 ძირითადი აქტივები	311	0	0	120837	120837	120837
30	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	0	0	9580	9580	9580
40	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
50	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	0	0	0	0	0
60	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალური	31113					
70	1.1.1.4 ქუჩები	31114					
80	1.1.1.5 გზები	31115					
90	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მილსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111	0	0	9580	9580	9580
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	0	0	111257	111257	111257
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	0	0	94900	94900	94900

170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122		0		16357	16357
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113					
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 უმძღვომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143					
350	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432					
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

კოდი 245427657

2012 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

ანგ	დებეტი	თანხა	ანგ	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	0		ნაშთი წლის დასაწყისისათვის	2143576
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	964816	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	6886362
7200	საქონელი და მომსახურება	1135387	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენს. და დახმ -ის გასაცემად	0
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	51419	6000	შემოსავლები	0
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	51419	6300	მ.შ. გრანტები	0
7400	პროცენტი	0			0
7500	სუბსიდიები	0			
7600	გრანტები	0			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	20678			
7800	სხვა ხარჯები	5314749			
	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა			აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	
1300 - 1400	ფინანსური აქტივები	230625	1300 - 1400	ფინანსური აქტივები	0
3000	ფინანსური ვალდებულებები	0	3000	ფინანსური ვალდებულებები	0
1600 - 2000	არაფინანსური აქტივები	195530	1600 - 2000	არაფინანსური აქტივები	0
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	0	8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	0
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლ. საკასო შესრულებით *	0			
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	0			
	საღებრტო ბრუნვა	7913204		საკრედიტო ბრუნვა	6886362
	სულ ჯამი	7913204		სულ ჯამი	9029938
	ნაშთი პერიოდის ბოლოს	0		ნაშთი პერიოდის ბოლოს	1116734

